კარლო ტაბიძე

ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკაზე

წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი 0178, საქართველო

ივნისი 2019

საავტორო უფლება 2019 მაგისტრანტი კარლო, ტაბიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით კარლო ტაბიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკაზე**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: ავთანდილ, გაგნიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: კარლო ტაბიძე

დასახელება: **ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკაზე**

ფაკულტეტი : ბიზნესისა და ინჟინერიის

ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

მაგისტრანტი: კარლო ტაბიძე

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ზოგიერთი ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიაში აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის ცნებები პრაქტიკულად იდენტურია. საქართველოს ეკო და აგროტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია: სტუმართმოყვარეობის მდიდარი ტრადიციები, საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ადრეული და შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლები, ლამაზი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა რეგიონს განუმეორებელი თავისებურებანი ახასიათებს, რეგიონების მოსახლეობა ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო არსებულ პოტენციალს ვერ იყენებს.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რეგიონებში გადანაწილებას შეუწყობს ხელს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, რამდენადაც მისი შესაბამისი სექტორი ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული. ეკოტურიზმის განვითარება არამარტო ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, არამედ ხელს შეუწყობს ბუნებრივი ადგილების მდგრად განვითარებას.

საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში განაპირობებს ეკოლოგიური ტურიზმის, როგორც მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის, პრიორიტეტული მიმართულების განვითარების აუცილებლობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად შევინარჩუნოთ: ბუნებრივი ფასეულობები, განვავითაროთ ინფრასტრუქტურა და შევავსოთ სახელმწიფო ბიუჯეტი.[1]

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმ ელემენტთა შესწავლას, რომლებიც ახასიათებს ეკოტურიზმს, როგორც საქმიანობის იმ სფეროს, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების დაცვით ღონისძიებებს, ზრდის შემოსავლებს და ხელს უწყობს სოციალური მდგომარეობის სტაბილიზაციას ქვეყანაში.ტურისტულ ბაზარზე კომპლექსური ეკოტურიზმი რეალური მოთხოვნით სარგებლობს, სადაც ეკოტურისტებს საშუალება აქვთ ერთდროულად ნახონ გარეული ცხოველები, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ღირსშესანიშნაობები.

დღესდღეობით საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმი წინ მიიწევს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. განხორციელებულმა კვლევებმა დაამტკიცა, საქართველოში, კერძოდ ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირების აუცილებლობა. მართალია ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

[1] გოგელია მ., „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება“; სადისერტაციო ნაშრომი; ბათუმი; 2013

მიმდინარეობს ხის კენწეროების ბილიკების მოწყობა, რომელიც მოიცავს კოშკურებს, საჰაერო ბილიკს, ხიდებს, საგანმანათლებლო და საინტერპრეტაციო ინტერაქტიულ პორტალებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ყოველივე ზემოთ აღნიშნული დროს მოითხოვს და შიგადაშიგ უნდა მიმდინარეობდეს ორივე დაცული ტერიტორიის პოპულარიზაცია.

საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის,თუმცა საქართველოს ეკოლოგიური ტურიზმის რესურსები დღემდე ფრაგმენტულად ვითარდება.

Abstract

In the tourism industry of some countries agrotourism and ecotourism are practically identical. Georgian eco and agrotourism have important resources: rich traditions of hospitality, interesting tourist routes, early and medieval historical monuments, beautiful nature. Despite the tacf that all regions of Georgia are characterized by unique peculiarities, the inhabitants of regrons can not use it, because of deficiency in infrastructural development.

The development of eco – tourism will help to increase income in the regions, where the majority of the population lives im poverty. Eco – tourism is praticaly important for Georgia, since its relevant sector is not fully utilized in market. The development of ecoturism will not only help the country's economy, but also contribute sustainable development of natural areas.

Eco – tourism provides Georgia's integration into the world economy system, as a global tourism industry, that allows us to maintain simultaneously: natural values, dvelop infrastructure and fill the state budget.

In this regard, the world has important issues, which are characterized by ecotourism as the area that provides protection of natural measure, increases incomes and contributes to social stabilization in the country. Complex ecotourism in the touism market enjoys real demand, where ecotourists have the opportunity to see wild animals, diverse landscapes, archaeological and enthnographic sights.

Today, in Georgian ecological tourism is moving forward, but there is still a lot to be done. The surveys have proved that particularly in Borjomi – Kharagauli; and Lagodekhi, protected areas need the development of ecological tourism strategies. Although the Lagodekhi protected areas are undertaking the arrangement of wooden missios, including towers, airbikes, bridges, educational and interpreted interaptive portals. But it is not eough, because all these mentioned above requires time, and both of the protected areas need to be popularized.

Georgia has a great potential for the development of ecological tourism, but its ecological tourism resources are still fragmented.

სარჩევი

შესავალი 8

ლიტერატურის მიმოხილვა 12

თავი I. ეკოლოგიური ტურიზმი როგორც ტურიზმის პერსპექტიული მიმართულება და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები 13

1.1 ეკოლოგიური ტურიზმის როლი სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში 13

1.2 ეკოლოგიური ტურიზმის მნიშვნელობა და ადგილი ტურიზმის სფეროში 16

1.3 ეკოლოგიური ტურიზმი, როგორც გარემოს დაცვითი განათლების კომპონენტი და მისი როლი ბუნებათსარგებლობის სფეროში 22

თავი II.ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. 28

2.1 ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალის შეფასება 28

2.2 ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე 38

თავი III. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიების ფორმირება 47

3.1 მომსახურების ხარისხის ამაღლება - ეკოლოგიური ტურიზმის 47

განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია 47

3.2. სარეკლამო კამპანია, როგორც ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ელემენტი 51

3.3 ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების სპეციფიკური მახასიათებლები საქართველოში 54

თავი IV.ტურიზმის ინვესტირება

თავი V. ეკოტურიზმის დინამიკის პროგნოზირება.....57

დასკვნა 72

ბიბლიოგრაფია ..... Error! Bookmark not defined.

შესავალი

ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი და დინამიური დარგია, ის მსოფლიოს მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია. დარგის ზრდის მაღალი ტემპი და სავალუტო შემოსავლების აკუმულირების მაღალი შესაძლებლობა დადებითად მოქმედებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, რაც ხელს უწყობს ტურისტული დანიშნულების ადგილის საყოველთაო განვითარებას.

ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედება, მისი გავლენა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, ტურიზმის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების კვლევების გაღრმავების აუცილებლობას განაპირობებს, რომელიც საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადაწყდეს ადგილობრივი მოსახლეობის გადარჩენის, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები. მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ისეთი წინააღმდეგობების აღმოფხვრას, როგორიცაა ბუნებრივი გარემოპირობების დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნების შეუთანხმებლობა. სწორედ ასეთი ტიპის საკითხების მოგვარებაზეა ოტიენტირებული ტურიზმის ისეთი სახეობა, როგორიც არის ეკოლოგიური ტურიზმი (ეკოტურიზმი).

ტურიზმის, როგორც მდგრადი განვითარების მიღწევის ფაქტორის მნიშვნელობა დამოწმებული იქნა იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სექტემბერი, 2002წ.) გამართულ მდგრადი განვითარების საერთაშორისო სამიტზე.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მირ გაკეთებული პროგნოზის მიხედვით (Tourism 2020 Vision) დადგენილია XXI-ე საუკუნის ტურიზმის სახეების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები. მასზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წლისათვის ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე იქნება ეკოლოგიური ტურიზმი. დღეისათვის ეკოლოგიური

ტურიზმი მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ერთერთ დინამიკურად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს, რომელზეც, სხვადასხვა შეფასებების მიხედვით, ტურისტულ ბიზნესში კაპიტალის მსოფლიო ბრუნვის 7-8% მოდის.

ეკოლოგიური ტურიზმის მზარდი პოპულარობა დიდ ინტერესს იწვევს ბუნებრივი გარემოს მიმართ, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოში ადამიანების ეკოლოგიური შემეცნების მაღალ დონეს. ეს თავისთავად ქმნის მოცემული სახეობის განვითარების სტრატეგიული მიდგომების ფორმირების აუცილებლობას.

მოცემული თემის აქტუალობა ეკოლოგიური ტურიზმის სპეციფიკურ თვისებებთანაა დაკავშირებული. ერთის მხრივ, მისი ძირითადი მიზანია ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა ბუნებრივ გარემოში დასვენების დროს; მეორეს მხრივ, ეკოლოგიური განათლება, ბუნებასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების გამომუშავება და ამ მიმართულებით პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება ზრდის შემოსავლებს, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისათვის, რაც თავის მხრივ, ქმნის ეკოლოგიური ტურიზმის შემდგომი განვითარების სტრატეგიების ფორმირებისა და რეალიზაციის შესაძლებლობას.

ეკოლოგიურ ტურიზმს განსაკუთრებულად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე შეუძლია, განავითაროს თავისი ყველა სახეობა, მაგრამ ნაკრძალების რეჟიმი განსაკუთრებულად მკაცრია სხვა სახის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებთან შედარებით და ეკოტურიზმს გარკვეულ შეზღუდვებს უყენებს.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, ეს ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობაზე მოქმედებს. მას ქვეყანაში ბუნების დაცვის ხელშეწყობაც შეუძლია. მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს არამხოლოდ ეკოლოგიური ტურიზმის გაძლიერება, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტების შემოსვლის სტიმულირებაც შეუძლია. ამ მიზნებისთვის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს აქვთ უნიკალური ორგანიზებული ტერიტორია, დაცვისა და ეკოლოგიური სისტემების აღდგენის გამოცდილება, მჭიდრო კონტაქტები ეროვნულ ფუნდამენტურ მეცნიერებასთან, საზღვარგარეთ თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, დაცვითი სტრუქტურები; ჰყავთ კომპეტენტური სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი.

ეკოტურიზმი საქართველოს დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. აქ ეკოტურისტები საზღვარგარეთის ეროვნულ პარკებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობით არიან. იქ ქვეყნებს წელიწადში რამდენიმე მილიონი ტურისტი სტუმრობს. ევროპელი და ამერიკელი ეკოტურისტებისთვის ეკოტური მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ყველაზე პოპულარული დასვენების საშუალებაა. საქართველოში კი ეკოტურიზმი შედარებით ახალია და ბევრმა არ იცის, რით განსხვავდება ტურიზმის ეს სახეობა ბუნებაში ჩვეულებრივი დასვენებისაგან.

მსოფლიოში ტრადიციულად ეკოტურისტული საქმიანობის ორი მოდელია მიღებული: დასავლეთევროპული (გერმანული) და ავსტრალიური. ,,ქართული'' მოდელი, ისევე როგორც ავსტრალიური, განსაკუთრებულად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს განიხილავს როგორც ძირითად ობიექტს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის. დასავლეთევროპული და ავსტრალიური მოდელებისაგან მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია სოციალური ფაქტორი, ანუ ეკოტურიზმი ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის სურვილის დაკმაყოფილებისას მოწოდებულია, მინიმუმამდე დაიყვანოს ანთროპოგენური დატვირთვა, ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას და აამაღლოს როგორც დამთვალიერებლების, ისე ადგილობრივების ეკოგანათლებისა და საერთო კულტურის დონე. [2]

კვლევის მიზანია საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებისა და ცალკეული რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივების იდენტიფიცირება, რაც შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ალტერნატივას წარმოადგენდეს.

საქართველოს კოლოსალური პოტენციალი გააჩნია ეკოტურიზმის განვითარებისათვის, რადგან მას მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონები, ესთეტიკურად მიმზიდველი ლანდშაფტები, ურბანიზაციისა და გაკულტურების პროცესებისაგან ხელუხლებელი უნიკალური ფლორა და ფაუნა, ქართულ და საერთაშორისო წითელ წიგნში შეყვანილი არცთუ ისე ცოტა რაოდენობის რელიქტური და ენდემური სახეობები, ბუნებრივი ტერიტორიების დაცული და განვითარებული ქსელები გააჩნია. ეკოტურისტებისთვის ქვეყნის განსაკუთრებულ მიმზიდველობას ქმნის ეთნოკულტურის სიმდიდრე, სახალხო დღესასწაულების მრავალფეროვნება, ადათ-წესები, ხელობები, მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და თავისებური ქართული სამზარეულო. ყოველივე ზემო აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს, რომელსაც გააჩნია უნიკალური ტურისტული რესურსები, ეკოტურიზმს არ მიუღწევია პოტენციური შესაძლებლობების ადეკვატური დონისათვის.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფო რეგულირების არასრულყოფილი მექანიზმი, მოცემული მიმართულებით კერძო ინვესტირების მოტივაციის ნაკლებობა, ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო მოთხოვნის ნაკლებობა, ტურიზმის სამეცნიერო შესწავლის არასაკმარისი დონე,

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლების და პრაქტიკული მეთოდების სისტემური განვითარება. მთლიანად ნაშრომი მიმართულია საწარმოო სტრუქტურების იმ დარგობრივი კომპლექსების

[2] გოგელია მ., „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება"; სადისერტაციო ნაშრომი; ბათუმი; 2013; გვ.10

განვითარებაზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ეკოტურისტული მომსახურების ფორმირებასა და ბაზარზე მის მიწოდებაში.

ნაშრომის კვლევის საგანს და ობიექტს წარმოადგენს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების თეორიულ-მეთოდური მიდგომები და პროცესები; საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირების პროცესი და ეკოტურისტულ კომპლექსში შემავალი ორგანიზაციები.

კვლევის მეთოდები. დასახელებული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიები, სისტემური მიდგომები და შედარებითი ანალიზი, ისტორიულისა და ლოგიკურის, შედარებისა და სტატისტიკური ანალიზის, შედეგთა განზოგადების მეთოდები და სხვა. საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის, ოფიციალური ინტერნეტ-წყაროების მონაცემები და სხვა.

რაც შეეხება ნაშრომში წარმოდგენილ სიახლეს წარმოადგენს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მენეჯმენტის, კერძოდ სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის ელემენტების აგების თეორიული და მეთოდური მიდგომების შეთავაზება. კერძოდ, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, მისი სახეებისა და ფორმების კლასიფიკაცია; ეკოლოგიური ტურიზმის ბაზრის სუბიექტების ურთიერთობის თავისებურებების, მათი ეკონომიკური ინტერესებისა და რეგიონის განვითარებაზე დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ფორმით ეკოტურიზმის ზეგავლენის განხილვა; საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენა.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი შედგება სამი თავის, 8 ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართებისაგან.

შესავალ ნაწილში ვისაუბრებ კვლევის აქტუალობაზე, სადაც გამოიკვეთება კვლევის მიზნები და ამოცანები.

პირველი თავი ეძღვნება ეკოლოგიური ტურიზმის კონცეპტუალური საფუძვლების გაშუქებას. კერძოდ, გაშუქებულია ეკოტურიზმის წარმოშობა და განვითარება. ასევე განსაზღვრულ იქნა ეკოტურიზმის როლი და ადგილი ტურიზმის ბიზნესის სისტემაში. განვიხილე დარგის საწყისი პრინციპები, ეკოტურიზმის სახეები და ობიექტები. ამ თავში მოცემულია ეკოტურიზმის კლასიფიკაციის ფორმები, განვიხილე საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის გადაუჭრელ პრობლემები და მისი განვითარების პროგრამულ-სტრატეგიული ღონისძიებების სისტემა.

მეორე თავი მოიცავს ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალის შეფასებას, აქვე გაანალიზებულია ეკოტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე.

მესამე თავში მოცემულია კავშირი ტურისტულ სააგენტოთა მომსახურების ხარისხს, მომსახურებასა და მომსახურების შეთავაზებას შორის. ასევე დადგენილი და შეთავაზებული იქნება, როგორც მულტიპლიკატორული დამოკიდებულება ეკოტურიზმსა და რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობას შორის, ასევე რეგიონში ეკოლოგიური ტურიზმის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.

დასკვნაში ჩამოყალიბებულია ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდა და დადგინდა სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგად.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ შემუშავებული ნაშრომები ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებით, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო ორგანიზაციათა და ინვესტორთა საქმიანობა, სტატისტიკური მონაცემები.

მათ შორის აღსანიშნავია:

ტურიზმი და გარემოს დაცვა, ეკოტურიზმის საფუძვლები - წიგნში განხილულია ტურიზმის მდგრადი განვითარება და მისი კავშირი გარემოს დაცვის საკითხებთან; ეკოტურიზმი, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველი, მისი გარემოსდაცვითი პრინციპები და მახასიათებლები; ეკოტურიზმის დაგეგმვა და მართვა; გარემოს დაბინძურების მინიმიზაციის ღონისძიებები.

ზემოთ აღნიშნული პრობლემები ასევე სხვადასხვა ფორმითაა ასახული ქართველი მეცნიერების: ლ. ყორღანაშვილის, ნ. თოდუას, მ. მარგველაშვილის, და სხვათა ნაშრომებში, რომლებიც დამეხმარება საკითხის კარგად გამოკვლევაში.

ნაშრომში განხილულია ასევე საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე განხილული ნაშრომები. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი - წიგნის მე-2 და მე-3 თავში განხილულია გარემოსდაცვითი პოლიტიკა (მსოფლიოს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, გარემოს დაცვის საერთაშორისო პოლიტიკა, საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა);ტურიზმის ბუნებათსარგებლობის პრინციპები და მახასიათებლები (ტურიზმისგან ვითარების ისტორია მოგზაურობიდან ეკოტურიზმამდე, ბუნებათსარგებლობა ტურიზმში, მდგრადი განვითარების პრინციპები, ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია, ტურიზმის ზეგავლენა გარემოზე და მისი შედეგები, ეკოტურიზმი – გარემო დაცვის ალტერნატივა, გამტარობის პოტენციალი და მისი რეგულირება, ეროვნული პარკი – ეკოტურიზმის ძირითადი დესტინაცია, ეკოტურიზმის

ძირითადი მიმართულებები); ასევე მე - 4 თავში ასახულია ეკოტურიზმის მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკა (ეკოტურიზმის მენეჯმენტი, ეკოტურიზმის მარკეტინგი, ტურიზმის ეკონომიკა დაცულ ტერიტორიებში, ადგილობრივი მოსახლეობის, ხელისუფლების და კერძო სტუქტურების როლი რეგიონში ეკოტურიზმის განვითარებაში).

კვლევა ეფუძნება სისტემურ და ფაქტორულ ანალიზს, სინთეზს, ისტორიულსა და ლოგიკურს, შედარებისა და სტატისტიკურ ანალიზს, შედეგთა განზოგადების მეთოდებსა და სხვა. საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, დაცული ტერიტორიების, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის, ოფიციალური ინტერნეტ-წყაროების მონაცემები და სხვა.

თავი I. ეკოლოგიური ტურიზმი როგორც ტურიზმის პერსპექტიული მიმართულება და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

1.1 ეკოლოგიური ტურიზმის როლი სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში

ეკოტურიზმი მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებული დარგია, რომელიც ვიწრო სეგმენტიდან მასიურ მიმართულებად გადაიქცა. ამასთან ყოველწლიურად 30 % - ით იზრდება ეკო - ტურისტების რაოდენობა. ეკოტურიზმის განვითარების ტენდენცია დადგენილია გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNTWO) მიერ. ამ ორგანიზაციის პროგნოზით ეკოტურიზმი შედის 2020 წლამდე ტურიზმის სფეროს განვითარების ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმრთულებათა რიცხვში.

გაეროსა და მსოფლიო ტურიზმის მონაცემებით 2000 წელს ეკოტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 154 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. როგორც კანადელი მეცნიერები ამტკიცებენ რეალურ სიტუაციასთან შედარებით მონაცემები შემცირებულია 5-7 -ჯერ. ეს დაკავშირებულია იმასთან რომ საერთაშორისო ტურიზმი ტურისტების საერთო რაოდენობის 9%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 91% მოდის შიდა ტურზმზე. ექსპერტების შეფასებით, ეკოტურიზმის საჭიროებისათვის ყოველდღიურად იწარმოება 55 მლრდ დოლარის ღირებულების საქონელი.

ჩრდილოეთ ამერიკაში ველურ ცხოველებზე და განსაკუთრებით ფრინველებზე დაკვირვება - birdwatching (ფრინველებზე დაკვირვების მარშუტი) სამეცნიერო-შემეცნებითი ტურიზმის განსაკუთრებულად მიმზიდველ ეკოტურს წარმოადგენს. სხვადასხვა შეფასებებით ყოველწლიურად ამ ტურებში მონაწილეობას იღებს 30 – 78 მილიონამდე ეკო - ტურისტი, რასაც დაახლოებით

78 მლრდ დოლარის შემოსავალი მოაქვს. კოსტა - რიკაში სწორედ კვეზალების (ყველაზე დიდი ფრინველი რომელიც შესულია წითელ წიგნში) მოპოვებით მიღებული შემოსავლით დაინტერესებული ბერდვოჩერების ნაკადი გახდა ადგიობრივი ინიაციტივის რეალიზაციის სტიმული გადაშენებისაგან დაიცვან ტროპიკული ტყეები.[3]

ბიოლოგიური რესურსების ეკოტურიზმის ობიექტებად გმოყენება უფრო ადვილია, ვიდრე მათი უტილიტარული გამოყენება. ამბოსების (კენია) პარკში, ერთ ლომს მოაქვს 27 000 აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი, ხოლო სპილოების ჯოგს - 61 000 აშშ დოლარი. მთლიანობაშუ ეს თანხა აღემტება იმ შემოსავალს, რომლის მიღებაც შესაძლებელია ტყავისაგან და ეშვებისაგან. ყოველივე ეეს ამართლებს მოცემული პოპულაციების დაცვასა და აღდგენაზე გაწეულ ხარჯებს.

განვითარებულ ქვეყნებში ეკოტურიზმი წარმოადგენს მომგებიან ბიზნესს. მაგალითად, კანადაში ეკო - ტურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს შიდა ტურიზმის მთლიანი შემოსავლების ¼-ს. სახელმწიფო ხაზინაში ეკოტურიზმის გადასახადების სახით წელიწადში შედის დაახლოებით 1.7 მილიარდი აშშ დოლარი, რაც 5-ჯერ აღემატება იმ თანხას (300 მლრდ აშშ დოლარი), რომელსაც სახელმწიფო ხარჯავს ბუნების დაცვის ღონისძიებებზე. კანადის ეროვნულ პარკებს 90 - იან წლებში სტურობდა დაახლოებით 20 მილიონი ეკო - ტურისტი, ხოლო რეგიონალურ პარკებს - 47 მილიონი ეკოტურისტი. აშშ - ს ეროვნული პარკები, იმავე წლებში წელიწადში ღებულობდა 270 მილიონ ეკო - ტურისტს, ხოლო ცალკეული შტატების პარკები კი კიდევ 500 მილიონ ეკო - ტურისტს. ამასთანავე, ზოგიერთ შტატში 309 ეკო - ტურისტების რაოდენობა წელიწადში აჭარბებდა შტატის მოსახლეობის რაოდენობას. აქედან გამომდინარე, ეკოტურიზმს შეუძლია სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს ბუნებისდაცვით ღონისძიებებს. [4]

ეკოლოგიურ ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და ქვეყანას მისცეს მნიშვნელოვანი რესურსები. ვფიქრობთ, რომ ფინანსური შემოსავლის არხები და ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ნაწილის გადარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტსა და სპეციალურ ფონდებში, როგორც კომპენსაცია ბუნებათსარგებლობისათვის; მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნა; გადასახადი სარგებლობისათვის, რომლის უფლება ტურისტულ კომპანიებს გადაეცემათ ადგილობრივი მართვის ორგანოების მიერ (იჯარა და მისთანები); ვალუტის დამატებითი შემოდინება; ინვესტიციების შემოდინება; ინფრასტრუქტურის განვითარება; ტურ - ფირმებისათვის ადგილზე მოსამზადებელი სამსახურის გაწევა(მაგ: კვების პროდუქტებით, ადგილობრივი

---

[3] Ceballos-Lascurain, H., Integrating Biodiversity into the Tourism Sector: Best Practice Guidelines. Report submitted to UNEP /UNDP/GEF/BPSP – 2001; გვ 135

[4] გოგელია მ., კორძაია ი., VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 10-11 ივლისი, ბათუმი;

წარმოების სუვენირებით მომარაგება და სხვა); მოსახლეობის დაფინანსება; რეგიონისა და მოსახლეობის ეკონომიკური მოგების მაქსიმალიზაცია.

პროგრამა 21-ის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხებია: ადამიანის უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და სრულ ჰარმონიაში ბუნებასთან, გარემოს დაცვა, როგორც მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფა, უარის თქმა მდგრადი განვითარების ხელშემშლელ ტექნოლოგიებზე.

ჩვენი ქვეყნის ტურიზმის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შემუშავებული აზრი იმის შესახებ თუ მთლიანად ქვეყანა და მისი ცალკეული რეგიონები რა ტიპის ტურისტული მომსახურების ჩამოყალიბებას აპირებენ, ანუ როგორი იქნება მომავალში ტურიზმის განვითარების სპეციალიზაცია. გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნისათვის, ყვლაზე სწორი იქნებოდა მომგებიანი სახეობების განვითარება, რამაც ასახვა უნდ ჰპოვოს საქართველოს ტურიტულ ბაზარზეც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პასიურიდან აქტიურ დასვენებაზე ორიენტაციის გადატანას, მოთხოვნის ინდივიდუალიზაციას, მომხმარებელთა აზროვნების ეკოლოგიზაციას, ინდივიდუალიზმის წინ წამოწევას, აქტიურ მუშაობას ბაზრის სეგმენტაციასა და დივერსიფიკაციაზე.[5]

ეკოტურიზმის განვითარებაში ასევე მნიშვნელოვანია არამონეტარული უპირატესობები და ეკოტურიზმის არაპირდაპირი ზემოქმედება რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე, მისი შეფასება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ისინი შესაძლებელია ირიბად გამოიხატოს ეკონომიკური კატეგორიებით. მათ განეკუთვნება: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; ინვესტიციების შემოდინება; ეკოლოგიური განათლება; მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; ინფრასტრუქტურის ქსელის განვითარება; ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომიკის გაუმჯობესება; სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ბაზარი; ეკოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; ეკო - ტექნოლოგიების დანერგვა; კულტურათაშორისი გაგებისა და გაცვლის ზრდა; ინფორმაციის გაცვლა; ტექნოლოგიების გადაცემა; სოციალური ინსტიტუტებისა და სამსახურების შექმნა. ტურიზმისა და ეკოტურიზმის ზემომქმედება ხშირად რჩებოდა სახელმწიფო ყურადღების მიღმა, რადგან იგი იფარგლებოდა მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და კონტროლის საერთო ზომებით სამეწარმეო საქმიანობის ადმინისტრაციული და უფლებრივი ნორმების დაცვის მიზნით.

ეკოლოგიური ტურიზმის წარმოქმნა-განვითარებას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: ერთი მხრივ, შეგნებამ, რომ ბუნებას გამოუსწორებელი ზიანი ადგებოდა, და მეორე მხრივ, მომხმარებლის მარადიულმა სურვილმა ახალ-ახალი, უჩვეულო ეგზოტიკით გაჯერებული შთაბეჭდილებები მიეღო. ტურისტების

[5] მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ჟ., ,,ტურიზმი მდგრადი განვითარების ტენდენციები, პრობლემები და პერსპექტივები", III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2-3 ივნისი, ბათუმი; 35გვ

ასეთი კატეგორიის მოთხოვნებს ტრადიციული, მასობრივი ტურიზმი ვეღარ აკმაყოფილებდა, ვინაიდან განსაზღვრების თანახმად, ის, რაც მასობრივია, ანუ შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი, უკვე ვეღარ ჩაითვლებოდა ეგზოტიკურად. დღეისათვის ეგზოტიკა მათთვის ასოცირებულია ტურისტების მიერ ნაკლებად ათვისებულ რეგიონებთან, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნების პირვანდელი სახე და ბუნებათსარგებლობის ძირძველი წესები. ეკოლოგიური ტურიზმი, მისი წარმოქმნის ლოგიკის თანახმად, ეფუძნება რამდენიმე ძირითად, წარუვალი ფასეულობის მქონე პრინციპს: სარეკრეაციო ბუნებრივი ტერიტორიების ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეთნოგრაფიული სტატუსის შენარჩუნება, და იმავდროულად, რეგიონების ეკონომიკური მდგრადობის ამაღლება.

1.2 ეკოლოგიური ტურიზმის მნიშვნელობა და ადგილი ტურიზმის სფეროში

მსოფლიოში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება, რომელიც გამოწვეულია კლიმატის შეცვლით, ოზონური ფენის რღვევით, დემოგრაფიული აფეთქებით, ეკოსისტემის რღვევითა და ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირებით, ენერგორესურსების დასუსტებით, გარემოს დაბინძურებით, სასმელი წყლის დეფიციტით, რედუცენტების კრიზისით, განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შემცირებით ან განადგურებით, ბიოსფეროში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ცვალებადობით, ბევრი ექსპერტისათვის ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების შესახებ პროგნოზის გაკეთების საფუძველს იძლევა. გარემოს დეგრადაცია მიმდინარეობს სულ უფრო გაძლიერებული ტემპებით, რაც უარყოფითად აისახება პლანეტის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ეკოტურიზმი შესაძლოა იქცეს ქვეყნის ან რეგიონის ბუნებრივი რესურსების გაძლიერებულ ექსპლუატაციაზე ორიენტირებული ინდუსტრიის სერიოზულ ალტერნატივად[6].

ეკოლოგიური ტურიზმი ტურისტული სფეროს განსაკუთრებული სექტორია. მისი არსია ბუნებაში ყოფნა, მისი ობიექტების და მოვლენების შეცნობა, აქტიური დასვენება და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიოს ეკონომიკის სფერო, უკვე შედგა. ეკოტურიზმის წილი მსოფლიო

---

[6] ბერიძე რ., გოგელია მ., ,,დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების პრობლემები", III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2-3 ივნისი, ბათუმი; გვ 192

ტურისტული ინდუსტრიის საერთო მოცულობაში სხვდასხვაგვარადაა შეფასებული სხვადასხვა ავტორებისა და ორგანიზაციების მიერ. მაგალითად: WTO-ს მიერ 2001 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად იგი 2-4%-ს შეადგენს. ხოლო რიგი ავტორების შეფასებით კი იგი მერყეობს 7%-დან 10%-მდე.

ტურიზმის დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეკოლოგიური ტურიზმის ზრდის ტემპი როგორც შემოსავლების, აგრეთვე, ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით, გაცილებით მაღალია, ვიდრე ტურიზმის სხვა სექტორებში. ეკოლოგიური ტურიზმის სექტორში ყოველწლიური მატება მდგრადია და 30%-ს აღწევს, მაშინ, როდესაც ერთიანობაში აღებული საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტემპმა მხოლოდ 46% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამ დარგის პოპულარობის და შემოსავლიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების მიახლოებითი ხასიათი და საკმაოდ დიდი დიაპაზონი განპირობებულია ორი მიზეზით:

- მსოფლიოს მრავალი რეგიონისათვის არ არსებობს სანდო სტატისტიკური მონაცემები;
- არ არსებობს ეკოლოგიური ტურიზმის ცალსახა დეფინიცია, რაც თავის მხრივ, ისევ სტატისტიკური აღრიცხვის საქმიანობაში ქმნის გარკვეულ პრობლემებს – ვერ ხერხდება განხორციელებული და დაფიქსირებული ტურისტული მოგზაურობის ცალსახა მიკუთვნება ტურიზმის ამა თუ იმ სახეობისადმი.

ეკოტურიზმის ამომწურავი და ცალსახა დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, თავად ტერმინმა „ეკოლოგიური ტურიზმი“ უკვე კარგა ხანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და დამკვიდრდა, როგორც პროფესიონალ-პრაქტიკოსებში, ასევე რეკრეაციის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებში.

1990 წელს ეკოლოგიურ ტურიზმს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა, რაც ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმის (“Annual World Congress on Adventure Travel & Ecotourism”) მოწვწვის და საკუთარი არაკომერციული ორგანიზაციების შექმნის უფლებას იძლევა. „ეკოტურიზმის“ აღიარების მნიშვნელოვანი ფაქტი აღმოჩნდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2001 წლის ეკოტურიზმის წლად გამოცხადების შესახებ.

„ეკოლოგიური ტურიზმი“-ს მრავალი დეფინიციიდან ყველაზე ხშირად გვხვდება შეერთებული შტატების ეკოტურიზმის საზოგადოების (The Ecotourism Society) განსაზღვრება: „ეკოლოგიური ტურიზმი მოიცავს მოგზაურობებს შედარებით ხელუხლებელ ბუნებაში, რომლებიც არ არღვევენ ეკოსისტემების მთლიანობას და ორიენტირებულია მოცემული ტერიტორიის ბუნებრივი და კულტურულ-ეთნოგრაფიული თავისებურებების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნაზე. ამასთან, ეკოტურიზმი ქმნის ისეთ ეკონომიკურ პირობებს, როდესაც ბუნების და ბუნებრივი რესურსების დაცვა ხელსაყრელი ხდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის“.

ამ განსაზღვრებას ეხმიანება ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის (International Union for Conservation of Nature and Natural Resources, IUCN) განსაზღვრება, რომლის თანახმადაც ეკოტურიზმი არის „ბუნების წინაშე პასუხისმგებლობის კომპონენტიანი მოგზაურობა დაუზიანებელ ტერიტორიაზე ბუნების შესწავლის და მისგან (კულტურულ გარემოსთან ერთად) სიამოვნების მიღების მიზნით. ასეთი მოგზაურობა ხელს უწყობს ბუნების დაცვას, „რბილ“ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ საქმიანობას და ამ საქმიანობიდან მოგების მიღებას.

ამრიგად, „ეკოლოგიური ტურიზმი“-ს განსაზღვრება სასურველია შეიცავდეს მითითებებს იმ მთავარ ნიშნებზე, რომელთა მიხედვითაც ეს სახეობა გამოირჩევა ტურიზმის სხვა არსებული სახეობებისგან.

ყველაზე სრული იქნება ის განსაზღვრება, რომელშიც ჩადებული იქნება საკლასიფიკაციო ნიშნების მაქსიმალური რაოდენობა. თუმცა ასეთი განსაზღვრება აღმოჩნდება ძალზე ვრცელი და მოუხერხებელი.

ეკოტურიზმის ამომწურავი განსაზღვრების არარსებობის გამო, ხშირად სპეციალისტები შემოიფარგლებიან ეკოტურიზმის ძირითადი ნიშნების დაფიქსირებით: ეკოლოგიური ტურიზმი დაფუძნებულია უშუალოდ ბუნების სარეკრეაციო რესურსზე; ეკოლოგიური ტურიზმისათვის აუცილებელია ხელუხლებელი ან ნაკლებად სახეცვლილი ბუნება; ეკოლოგიური ტურიზმი აგებულია ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებაზე და გარკვეული ქცევის წესების დაცვაზე, ამიტომ იგი დიდ ზიანს არ აყენებს გარემოს, არ არღვევს გარემოს ეკოლოგიურ მდგრადობას; ეკოლოგიური ტურიზმი უნდა იყოს ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურად ეფექტური ფორმა, რომელიც ჩაანაცვლებს მეურნეობის ეკოლოგიურად საშიშ სახეობებს და ხელს შეუწყობს რეგიონის მდგრად განვითარებას.

ამდენად, ეკოლოგიური ტურიზმის პრინციპები დაფუძნებულია კაცობრიობის მისწრაფებაზე მიაღწიოს ტერიტორიების მდგრად განვითარებას, შეინარჩუნოს ბიო და სოციოკულტურული მრავალფეროვნება.

უპირატესი მიზნის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ეკოტურიზმის შემდეგი სახეობები: სამეცნიერო; შემეცნებითი; სარეკრეაციო;

სამეცნიერო ეკოტურიზმით დაკავებული ტურისტების რაოდენობა შედარებით მცირეა. ეს სახეობა ნაკლებად შესწავლილი რაიონების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა, რომელიც თავად ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ეფექტური დაგეგმვისათვის იქნება გამოსადეგი. ამ მიზნით ბოლო ხანებში სამეცნიერო-საველე ექსპედიციებში დამხმარე პერსონალის სტატუსით სულ უფრო ხშირად მონაწილეობას იღებენ მოხალისე ტურისტები.

შემეცნებითი ეკოტურიზმის ობიექტია არაცოცხალი და ცოცხალი ბუნების ღირსშესანიშნაობები: გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური ობიექტები (მთები, გამოქვაბულები, კანიონები, ტბები, მდინარეები), ცალკეული ბიოლოგიური სახეობები და ბიოცენოზები. ბოლო წლებში გავრცელდა სპელეოტურიზმი, არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური ტურიზმი.

რეკრეაციული ტურიზმი დაკავშირებულია დასვენებასთან, ბალნეო და პელოთერაპიასთან და ითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს გამაჯანსაღებელი ფაქტორებით მდიდარ ადგილებში ცხოვრებას: ზღვასთან, ტბებთან, მდინარეების პირას, მინერალურ წყაროებთან ,სარეკრეაციო ტყეებთან, სამკურნალო ტალახებით მდიდარ ტერიტორიებზე და სხვა. ამგვარი სარეკრეაციო ტურიზმი არაცალსახა მიმართებაშია ეკოტურიზმთან. იგი შეიძლება არ იყოს ეკოტურიზმს მიკუთვნებული, თუკი არ სრულდება ეკოლოგიური ტურიზმის ზემოხსენებული ძირითადი პრინციპები, ხოლო მათი შესრულების შემთხვევაში იგი შეიძლება მიკუთვნებულ იქნას პასიურ ეკოლოგიურ ტურიზმს.

ტერმინ „ეკოლოგიურ ტურიზმი"-ს პარალელურად ტურისტულ ლიტერატურაში და WTO-ს მეთოდურ მითითებებში გამოიყენება ტერმინების მთელი რიგი, რომლებიც შინაარსობრივად ძალზე ახლოს დგანან მასთან: „ტურიზმი ბუნებაში" (nature tourism), „ტურიზმი ველურ ბუნებაში" (wildlife tourism), „მწვანე ტურიზმი" (green tourism),"ალტერნატიული ტურიზმი" (alternative tourism) და სხვა.

„ტურიზმი ბუნებაში" ორიენტირებულია როგორც ცოცხალ,ისე არაცოცხალ ბუნებაზე. მისი შემადგენელი ნაწილია ბიოტურიზმი, რომლის ობიექტიცაა, როგორც ცალკეული სახეობები, ასევე ბიოცენოზები.

„ტურიზმი ველურ ბუნებაში" ორიენტირბულია, როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ასევე ამ სტატუსის არმქონე, მაგრამ დასახლებული პუნქტებიდან მოშორებულ, მიუვალ და პირვანდელი სახის მქონე ტერიტორიებზე.

„მწვანე ტურიზმი" ისევე, როგორც „მდგრადი ტურიზმი" გულისხმობს ტურიზმს, რომელიც გარემოზე მინიმალური ზემოქმედების მქონე ტექნოლოგიებს იყენებს.

ეთნო-ეკოლოგიური ტურიზმის მიზანია კონკრეტულ ტერიტორიაზე გაეცნოს მცირერიცხოვანი ეთნოსებისა და სუბეთნოსების ბუნებრივ გარემოში ჩამოყალიბების გზებს, მათ ამჟამინდელ ურთიერთკავშირებს ბუნებასთან, გაეცნოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესს, კულტურასა და ტრადიციებს.

სარეაბილიტაციო ტურიზმი სხვა მიმართულებებთან შედარებით უფრო მკაფიოდ გამოხატული პრინციპების მიმდევარია– ეკოლოგიური ტურიზმი რეკრეაციაში ჩართული ტერიტორიების არა მხოლოდ დაცვასა და შენარჩუნებას უნდა უწყობდეს ხელს, არამედ ამ ტერიტორიების მდგომარეობის გაუმჯობესებას. სარეაბილიტაციო ტურისტული პროგრამები ხორციელდება, როგორც ცალკეული ეკოცენტრების ინიციატივით, ასევე, და უფრო ხშირად, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. ასეთი პროგრამების ჩარჩოებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაირგა მრავალი ასეული ჰექტარი ახალგაზრდა ტყე.

აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მაღალია ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისების დონე და ნაკლებადაა შემორჩენილი ბუნებრივი ლანდშაფტები, მეტად აქტუალურია და სულ უფრო დიდ გავრცელებას პოვებს **„აგროტურიზმი"** ანუ **„სოფლის ტურიზმი"**. ამ მიმართულების უპირატესი განვითარება ინდუსტრიულ ქვეყნებში განპირობებულია დიდი ქალაქების

მცხოვრებთა სურვილით, ცოტა ხნით მაინც დააღწიონ თავი მეგაპოლისების ცხოვრების წესის თანამდევ ძალზე დიდ ემოციურ დატვირთვებს. აგროტურიზმის თავისებურება ისაა, რომ ტურისტები ცხოვრობენ სოფელში, გლეხისა და ფერმერის სახლში, მათ შესაძლებლობა ეძლევათ იცხოვრონ იქაური ცხოვრების წესით, ქალაქისაგან განსხვავებული, მდორე, აუჩქარებელი რიტმით, გაისეირნონ ცხენით, ითევზაონ და გაეცნონ იქაურ წეს-ჩვეულებებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ტერმინები ლიტერატურაში ხშირად ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება, ზოგჯერ კი როგორც ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი.

ეკოლოგიურ ტურიზმს ხშირად აიგივებენ მდგრად ტურიზმთან. მდგრადი ტურიზმი ახორციელებს მდგრადი განვითარების კონცეფციის მთავარი პრინციპების რეალიზებას, რაც გულისხმობს ისეთი სახის ბუნებათსარგებლობას, რომელსაც არ მივყავართ რესურსების დეგრადაციამდე. ამასთან აღსანიშნავია, რომ მდგრადი ტურიზმის ნებისმიერი სახეობა არ შეიძლება ჩაითვალოს ეკოტურიზმად, ვინაიდან ეკოლოგიური ტექნოლოგიები გამოიყენება არა მხოლოდ ეკოტურიზმის, არამედ ტურიზმის სხვა სახეობების ინფრასტრუქტურაშიც, თუნდაც მაღალი დონის სასტუმროებში, ავია გადაზიდვებში და სხვა.

ტერმინოლოგიურ უზუსტობასთან გვაქვს აგრეთვე საქმე, როდესაც **სათავგადასავლო ტურიზმი** (adventure tourism) მოიაზრება ეკოტურიზმის მომცველ სფეროდ. ცხადია, რომ ეკოლოგიური ტურიზმი ყოველთვის არ შეიცავს სათავგადასავლო ელემენტებს, ისევე როგორც არა ყველა სათავგადასავლო ტური შეიცავს ეკოლოგიურ კომპონენტს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ცნებები: „რეკრეაცია“, „მდგრადი ტურიზმი“ და „ ეკოლოგიური ტურიზმი „ ხშირ შემთხვევაში თანაკვეთაში არიან, მაგრამ არც ერთი მათგანი სრულად არ გადაფარავს, ანუ არ მოიცავს დანარჩენებს.

ამდენად, უფრო მართებულია განსაზღვრება, რომლის თანახმადაც ეკოლოგიური ტურიზმი არის მდგრადი და ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმი და რეკრეაცია. ეკოტურიზმს უშუალოდ ესაზღვრება საცხენოსნო და ველოტურიზმი, ალპინიზმი, სამთო-სათხილამურო და სამთო ტურიზმი.

„ვიწრო მიდგომა“ ჩაისახა და გავრცელდა ინგლისურენოვან ქვეყნებში. აქ ეკოლოგიური ტურიზმი ესმით, როგორც დაცულ ბუნებრივ ტერიტორიაზე გაკვალულ მარშრუტზე პატარა ჯგუფის მიერ გამოცდილი გამყოლის ხელმძღვანელობით განხორციელებული მოგზაურობა, რომლის დროსაც ტურისტები ეცნობიან ბუნების უნიკალურ მოვლენებს, ობიექტებს და ბინადართ ეკოლოგიური აღზრდის და ბუნებისდაცვითი განათლების მიღების მიზნით.

ამგვარად ეკოლოგიური მოგზაურობები, 1872 წლიდან მოყოლებული საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ხორციელდება ეროვნულ და ბუნებრივ პარკებში, რეზერვატებში და სხვა ტიპის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. სწორედ ასეთ დაცულ ტერიტორიებზეა განლაგებული ბუნების მეტად საინტერესო

ძეგლები, ბუნება ნაკლებადაა სახეცვლილი, ხოლო გარემო ეკოლოგიურად სუფთაა.

ამდენად ეკოლოგიური ტურიზმის ობიექტები შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტები, იმ პირობით, რომ ტრადიციული კულტურა გარემოსთან ერთ მთლიანს შეადგენს.

ტურიზმის ტრადიციული სახეობებისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური ტურიზმი მიმართულია ურთიერთჰარმონიზაციის დამყარებაზე სარეკრეაციო საქმიანობისაგან მიღებულ ეკონომიკურ მოგებასა და ტერიტორიების უსაფრთხოებას შორის.

ეკოტურიზმის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის სტიმულს აძლევს და აკმაყოფილებს ბუნებასთან ურთიერთობის სურვილს, აღმოფხვრის ნეგატიურ ზემოქმედებას ბუნებაზე და კულტურაზე, ტუროპერატორებსა და ტურისტებში აღვიძებს სურვილს მხარი დაუჭირონ ბუნების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ბუნებრივი და კულტურული რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას უფრო რეალური პერსპექტივა აქვს, რადგანაც ,,გარედან" მოსული მეწარმეები მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის (რაც შეიძლება სწრაფად) მიღებით არიან დაინტერესებულნი. ადგილობრივი მოსახლეობა სავარაუდოდ უფრო იზრუნებს ტრადიციებისა და ადგილისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილის შენარჩუნებაზე. ორივე მხარის თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კონსერვაციის წესების დარღვევის (ბრაკონიერება, ტყის გაჩეხვა) თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივი მოსახლეობას უნდა მიეცეს საკუთარი რესურსების დაფასებისა და შეფასების საშუალება, რომ ისინი ტურიზმის განვითარების პროცესს არც ფიზიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით არ ჩამოშორდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა შეძლოს საკუთარი რესურსით სარგებლობა და გართობა[7].

სტეკის თანახმად ეკოტურიზმის კონცეფცია შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად (ნახაზი 1.2.1).

ეკოტურიზმის კონცეფცია

---

[7] გოგელია მ.; **ეკოტურიზმის განვითარება მდგრადი ტურიზმის კონტექსტში** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - II საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი" - ISBN 978-9941-17-315-8, 4-5 ივნისი, ბათუმი 2011 წელი; გვ 418



ნახაზი 1.2.1. ეკოტურიზმის კონცეფცია, (Steck,1999).

1.3 ეკოლოგიური ტურიზმი, როგორც გარემოს დაცვითი განათლების კომპონენტი და მისი როლი ბუნებათსარგებლობის სფეროში

ეკოტურიზმის როლი არ შემოფარგლება მხოლოდ მისი კომერციული საქმიანობით, მისი მთავარი მიზანია საგანმანათლებლო – პროპაგანდისტული და გარემოსდაცვითი საქმიანობა. გარემოს დაცვისადმი მიმართული მოძრაობების გააქტიურება საშუალებას მოგვცემს სულ უფრო გაიზარდოს ტურისტების ეკოლოგიური განათლების დონე.

დღევანდელ ისტორიულ სინამდვილეში ჩნდება იმის ვალდებულება და აუცილებლობა, რომ რადიკალურად შეიცვალოს დამოკიდებულება გარემოსადმი, გადაიხედოს და ხელახლა შეფასდეს ადამიანური ფასეულობები და ცხოვრების სტილი. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) განათლების განვითარებას და გავრცელებას, რაც შესაბამისად

გათვალისწინებულია ტურიზმის მდგრადი განვითარების დეკლარაციაში, რომელიც მიიღეს ესპანეთში 1995 წლის 27-28 აპრილს ჩატარებულ ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიო კონფერენციაზე: „ ტურიზმზე პასუხისმგებელმა მთავრობებმა და სტრუქტურებმა ხელი უნდა შეუწყონ შესაბამისი ღია საინფორმაციო, კვლევითი ტურისტული და ეკოლოგიური ცოდნის და ტექნოლოგიების გავრცელების განვითარებას“.

გარემოსდაცვითი განათლება წარმოადგენს ეკოლოგიურ უცოდინარობასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვისადმი ერთიანი მიდგომის განვითარებას. ამგვარი განათლების მიზანია საზოგადოების ბუნების ეთიკის, ანუ გარემოს დაცვისადმი თვითშეგნების ამაღლება.

გარემოსდაცვითი განათლება მიმართულია უბრალოდ განუმარტოს საზოგადოებას, რომ დედამიწის გარემო არ არის ის ობიექტი, რაც ადამიანებმა უნდა დაიპყრონ. რესურსები არ არის ის ამოუწურავი საჩუქარი, რასაც ბუნება გვთავაზობს – დედამიწის შესაძლებლობებს საზღვარი გააჩნია, მისი რესურსები ამოწურვადია, გარემო კი ძალზე სუსტია და, რომ კაცობრიობა არ წარმოადგენს ყველაფრის საზომს, ის მხოლოდ ერთიანი ეკოსფეროს განუყრელი ნაწილია, ანუ მან ამ სისტემის ეკოლოგიურ კომპონენტებთან ჰარმონიაში უნდა იარსებოს. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ პირობის დარღვევა გამოიწვევს ეკოსფეროს მთლიანობის რღვევას, რამაც შეიძლება თავად კაცობრიობა დიდი რისკის წინაშე დააყენოს.

გარემოსდაცვითი განათლება უნდა დაიწყოს საბავშვო ბაღის დონიდან და გამიზნული იყოს ყველა ასაკისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში გარემოსდაცვითი სწავლების პროგრამები დაინერგა უნივერსიტეტებში და შემუშავდა ზოგადი სასწავლო პროგრამები, ბუნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები სთავაზობენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს ეკოლოგიის მენეჯმენტში, პროდუქტის წარმოებაში, განვითარებასა და ეთიკაში.

ეკოლოგიური სწავლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავისი სამუშაოთი თუ პროფესიით არ არიან დაკავებული სასწავლო დაწესწბულებებთან. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა მედია და ეკოლოგიისა და დაცული ტერიტორიების საკითხებზე პოპულარული და სამეცნიერო გამოცემები, რაც ხელს უწყობს კომერციული ეკოტურიზმის პოპულარიზაციას. ამ საშუალებების გარდა არსებობს, ასევე მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორიც არის მაგალითად მსოფლიო ველური ბუნების ფონდი (WWF- World Wildlife Found), რომელიც სპეციალურ ეკოლოგიურ სასწავლო პროგრამებს ამუშავებს.

საყურადღებოა, რომ ყველაზე მწირი განათლება არსებობს სასოფლო-სამეურნეო დასახლებების მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მათ შორის, ვინც ეროვნულ პარკებთან სიახლოვეს ცხოვრობს. ამისათვის საჭიროა მათ ადრეული ასაკიდან მიეწოდოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, როგორც ეროვნული მემკვიდრეობის ბატონ-პატრონთ, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ

ამ ტერიტორიების დაცვასაა და მოვლაში. მცდარი მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოდ და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბუნების გადარჩენის აუცილებლობის დასაბუთებისათვის იქმნება ახალი შემეცნებითი პროგრამა და ეწყობა სასწავლო ტურები.

ყველა ქვეყანაში მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარემოსდაცვითი განათლების განვითარებაში. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ აკაპულკოში მიღებულ დოკუმენტში ხაზგასმულია ტურიზმის ინდუსტრიის მუშაკთა ეკოლოგიური განათლების მიღების აუცილებლობა და მნიშვნელობა. ტურიზმის ქცევის წესები გარემოსდაცვასთან მიმართებაში ჩადებულია სხვადასხვა კანონსა თუ კოდექსში, ასეთია მაგალითად მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ტურისტის კოდექსი და ტურისტის უფლებათა ბილი, ასევე მრავალი სხვა ადგილობრივი წესები და კანონები.

ტურიზმის მასობრიობის ზრდასა და გარემოს დაზიანების მომატებულ შესაძლებლობასთან ერთად სულ უფრო მეტ აქტიურობას იძენს მოგზაურთა ეკოლოგიური აღზრდის პროგრამა. აქ იგულისხმება არა ჯარიმები და სხვა სახის სანქციები, არამედ თვით ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ეკოლოგიზაცია, იმ ნებისმიერი ტურისტული პროდუქტის შეგნებული უგულვებელყოფა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ლანდშაფტს, შენობებს და სხვა ობიექტებს. ტურიზმის ეკოლოგიური ასპექტის აქტუალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ გარემოს ყოველგვარი დაზიანება ართულებს ტურისტული ფირმების მუშაობას, რადგან ისინი აწყდებიან წინააღმდეგობებს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ხელისუფლების მხრიდანაც.

ეკოტურიზმი, როგორც მოვლენა, თავისი მრავალფეროვნებით საკმაოდ ფართო დიაპაზონისაა – სერიოზული სამეცნირო მიდგომიდან, ბუნებაში დასვენების მიზნით არარეგულარულ მოგზაურობებამდე. დღეს, ეკოტურისტები ტურისტული ბაზრის მზარდ სეგმენტს წარმოადგენენ. მათ, უპირველეს ყოვლისა გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები აინტერესებთ, განსაკუთრებით იზიდავთ შორ მანძილზე მდებარე ეკოლოგიურად ფაქიზი და სუფთა რეგიონები. ეკოტურიზმის მიზანია ტურისტული შემოსავლების ხარჯზე თემებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის ხელშეწყობა. ასეთი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს კი ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმადგენს.

ეკოტურიზმს არ შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს რეგიონებში მდებარე ბუნებრივი ძეგლების განვითარება. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ტრადიციული მეურნეობის ან ამ ტერიტორიების მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით შემოსავლებს. ტურისტული ბიზნესი ამ გზით ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა კი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი საქმიანობის სწორად წარმართვასა და უნიკალური ტურისტული პროდუქტის ჩამოყალიბებას.

1989 წლიდან გამოიკვეთა ეკოტურიზმის მიზნები და ამოცანები და დამკვიდრდა, როგორც გარემოს დაცვის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საშუალება. ეკოტურიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოგზაურობა, რომლის დროსაც: ბუნება მთავარი ფასეულობაა; მოგზაური სწავლობს გარემოს; შემოსული ფინანსები მიიმართება გარემოს დაცვის დასაფინანსებლად; მონაწილეები ანუ „ეკოტურისტები“ პირადად მონაწილეობენ საქმიანობებში, რომელიც მიმართულია ველური ბუნების დაცვისა და შენარჩუნებისაკენ; ყველა საქმიანობა „ეკოლოგიურად სუფთა და მსუბუქია“.

ეკოტურიზმი, როგორც ბუნებრივ გარემოში სპეციალური მოგზაურობა, ემსახურება გარემოს დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოიყოს ეკოტურიზმის სამი ძირითადი კომპონენტი:

1. **„ბუნების შეცნობა“**, ანუ მოგზაურობა გვთავაზობს ბუნების მრავალი ელემენტის შესწავლასა და ტურისტების მიერ ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებას.
2. **„ეკოსისტემის დაცვა“** გულისხმობს არა მარტო ჯგუფის მარშრუტზე ქცევის წესებს, არამედ ტურისტების და ტუროპერატორების მონაწილეობას ბუნების დაცვის ღონისძიებებსა და პროგრამებში.
3. **„ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება“** არა მარტო ადგილობრივი კანონებისა და ადათ-წესების დაცვაა, არამედ ტურიზმის შენატანია ტურისტული დესტინაციების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ეკოტურისტებს მკაფიოდ აქვთ გათვალისწინებული ბუნების მიმართ თავიანთი პასუხისმგებლობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ რეგიონებში აქვს, სადაც ბუნება ჯერ კიდევ თავისი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაყავს სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენა და რადგან ხელს უწყობს გარემოს დაცვითი ღონისძიებებისათვის დაფინანსების მოზიდვას, ამიტომ იგი ეკოლოგიური პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

როგორც ვიცით, ტურიზმის მდგრადი განვითარება უნდა პასუხობდეს სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმებს. გრძელვადიან ჭრილში, დღევანდელ და მომავალ თაობებთან მიმართებაში, ტურიზმის მდგრადი განვითარება ეკოლოგიურად სიცოცხლისუნარიანი და ეკონომიკურად მართებული პროცესია, სწორედ ამ კუთხით ეკოტურიზმი ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს და მის ქვეკომპონენტად გვევლინება, რადგან იგი მოწოდებულია ტურიზმი აქციოს ბუნების დაცვის და მდგრადი განვითარების პოზიტიურ ძალად ანუ მისი საშუალებით შემცირდეს გარემოზე ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება.

დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მართვისა და განვითარებისათვის შემუშავდა დიაგნოსტიკა და დაგეგმარების სახელმძღვანელო წესები. ჯანსაღი ეკოტურიზმის განვითარება გაზრდის ბუნების „შენახვისათვის“ საჭირო სახსრებს

და აამაღლებს ტურისტთა ცნობიერებას იმ ზეწოლის შესახებ , რასაც გარემო განიცდის. ეს ვრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაზეც, რომლებიც იღებენ შემოსავალს ეკოტურიზმიდან.

გარემოს დაცვა ეკოტურიზმის განვითარების განუყოფელი ნაწილია. გარემოს დაცვას ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. ეკოტურიზმში ეს მაშინ ხდება, როდესაც ჯანსაღია გარემოც და ბიზნესიც. ზოგჯერ გარემოს დაცვას მოსახლეობის ინტერესები ეწირება. მაგალითად, მოსახლეობას შეიძლება აეკრძალოს სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესრულება, საწვავი და სამშენებლო მასალების შეგროვება. სანაპირო ზოლში ტურიზმის განვითარება განსხვავებულ სიტუაციას ქმნის. მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციას ეწირება გარემოს დაცვა, ინგრევა არსებული ეკოსისტემა. ტურიზმის რესურსების დეგრადაცია კი ორივე (გარემოს დაცვა და ეკოტურიზმი) ინტერესის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ტურიზმი გარემოზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენის გარეშე ვერ განვითარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება გარემოს დაცვასა და შენარჩუნებასთან და არა ტურიზმთან. გამოსავალი კომპრომისის ძებნაში უნდა იყოს: არც ძალიან მკაცრი კონსერვაციული მიდგომა გამოდგება და არც ის, რომ მთავარი აქცენტი მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე გაკეთდეს ეკოლოგიაზე ზრუნვის გარეშე.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული ადგილების დათვალიერებაზე დაწესებულ გადასახადებსაც, თუმცა მიიჩნევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ტურისტების უარყოფითი ზეგავლენა ამ ადგილებზე იმენად დიდია, რომ ეს გადასახადები არ არის საკმარისი მათ აღმოსაფხვრელად. შემოსული თანხები უნდა მიმართონ გარემოსდაცვითი სამუშაოების შესრულებაზე, ადგილობრივი ტრენინგების დაფინანსებასა და ამ პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის უფრო მეტად ჩართვაზე. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობისათვის უნდა დაწესდეს ნაკლები გადასახადები.

ეკოტურიზმი ხელს უწყობს გარემოს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, გამოავლენს მდგრადი ბიზნესის მაგალითებს, ადგილობრივი თემებისა და რეგიონებისათვის ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს და ამავე დროს აღიარებს და პატივს სცემს ადგილობრივ და ბუნებრივ კულტურას, ტრადიციებსა და ღირებულებებს. ტურისტები, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს სტუმრობენ, ხშირად უნდა იყვნენ მზად კომფორტთან დაკავშირებული ჩვეული სტანდარტების დასავიწყებლად. გარკვეული თვალსაზრისით ეს ტურიზმის მიმზიდველ მხარედაც შეიძლება ჩაითვალოს. ტურისტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ადგილების სპეციფიკის შესახებ, რომელსაც სტუმრობენ და იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რათა მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე ზეგავლენა. ეს არის ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი პასუხისმგებლობა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია: განვითარების მდგრადობა, ეკონომიკური სარგებლიანობა

ადგილობრივი თემებისათვის, ადგილობრივი კულტურის ინტეგრაცია და საგანმანათლებლო კომპონენტი.

ნებისმიერ გარემოს მაქსიმალური დატვირთვის ზღვარი გააჩნია, რომლის გადალახვამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ზიანი და საშიშროება ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. ეროვნული პარკების ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებამ შეიძლება მოიტანოს, როგორც მატერიალური სარგებელი, ასევე გახდეს ბუნების დაცვისა და რეაბილიტაციის მძლეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორად შეირჩევა ტურიზმის განვითარების დონე და სახეები, მართვა და რაც ყველაზე აუცილებელია, დაცული იქნება შესაბამისი ტერიტორიების ტურისტთა გამტარობის პოტენცია, ანუ, ე.წ. „გამტარუნარიანობა“. გამტარუნარიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების საქმეში. ეკოლოგიური გამტარუნარიანობა მოგზაურთა ის რაოდენობაა, რომლის დროსაც ტურისტების ქცევა, ან შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება ეკოლოგიურად გამოუსწორებელ შედეგეს არ იწვევს.

თავი II.ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

2.1 ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალის შეფასება

საქართველოში ხელუხლებელი ე.წ. ველური ბუნება არც თუ ისე იშვიათობაა და საკმაოდ თვალწარმტაციც. ქვეყნის ძირითად ეკოტურისტულ პოტენციალს წარმოადგენს დაცული ტერიტორიები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა კატეგორიების სახით.

დაცული ტერიტორიის სახე	მიზანი	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა	I
ეროვნული პარკის	ეკოსისტემების კონსერვაცია და რეკრეაცია	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია	III
აღკვეთილი	შენარჩუნება აქტიური მართის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტების და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და რეკრეაცია	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი ეკოსისტემის მდგრადი გამოყენება	VI

ცხრილი N2.1.1 დაცული ტერიტორიების კატეგორიები.

ეკოტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის დაცული ტერიტორიებისას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, მიახლოებითი გამოანგარიშებით საერთაშორისო ტურიზმის დაახლოებით 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება. ეკოტურიზმი არის ბუნებრივი და კულტურული რესურსების (მათ შორის ბიომრავალფეროვნების) კონსერვაციის მექანიზმი და ასევე, პერიფერიების მდგრადი განვითარების საშუალება.

ნაკრძალი - ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას ადამიანისგან სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე. ეს კატეგორია შექმნილია ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა

და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით. ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიება, საგანმანათლებლო საქმიანობა სპეციალური ნებართვით და გარემოს მონიტორინგი.

ეროვნული პარკი - ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია მოიცავს შედარებით დიდ ფართობს და ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის. ეროვნული პარკი შეიძლება შეიქმნას ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. ეროვნულ პარკში დაცულია საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი გადაშენების, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, ერთი ან რამოდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი. ეროვნულ პარკებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ტურიზმის განვითარებისათვის.

ბუნების ძეგლი - ბუნების ძეგლი შეიძლება შეიქმნას ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების – იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემების, ცალკეული ეგზემპლიარების, ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტების დასაცავად.

აღკვეთილი - ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად. აღკვეთილში წარმოდგენილია ცოცხალ ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური „ წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების პირას მყოფი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტები. აღკვეთილში ნებადართულია ადამიანის ჩარევა ცხოველთა და მცენარეთა სახეობების აღდგენისა და მოვლის მიზნით. აღკვეთილში ასევე დასაშვებია ცალკეული განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოხმარება მკაცრი კონტროლის პრობებში.

დაცული ლანდშაფტი -ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის. ასეთი ლანდშაფტი გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. ამ ტერიტორიაზე შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია იქმნება ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის გარემოს დაცვის

მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ კატეგორიის ტერიტორიები წარმოადგენენ წყლის აკვატორიებში თევზჭერისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების ადგილებს, ასევე ტურიზმისთვის საინტერესო ტერიტორიებს. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე არ უნდა არსებობდეს ეროვნული მნიშვნელობის ბუნებრივი წარმონაქმნი.

დაცულ ტერიტორიათა სისტემები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა პირობებში, განსახვავებული მიზნითა და მიმართულებით ვრცელდებოდა. განსხვავებულ პირობებს შორის უნდა ვიგულისხმოთ რელიეფური და კლიმატური თავისებურებანი, ბიომრავალფეროვნება, ბუნებრივი ლანდშაფტების ეკოლოგიური მდგომარეობა, სახელმწიფოში ბუნებათსარგებლობის და ბუნების დაცვითი სტრატეგიების არსებობა, ტრადიციების, რეგიონული და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური ფინანსური უზრუნველყოფის განსხვავებული დონე და სხვა. ბუნებრივია, რომ ამან წარმოშვა დაცული ტერიტორიების სახეობათა სხვადასხვაობა, რომლის დაძლევასაც შეეცადა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN), შეიმუშავა რა დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი განსაზღვრის ერთიანი სისტემა (იხ. 1ცხ). მათ შორის, თავისი პოლიფუნქციური მნიშვნელობით, ფართობის სიდიდით, გავრცელების ფართო მასშტაბით, ხანგრძლივი ტრადიციის არსებობით და პოპულარობით გამორჩეული ადგილი უკავია ეროვნული პარკის კატეგორიას.

საქართველოს ეკოტურისტული რესურსები ერთმანეთისგან განსხვავებული და მრავალფეროვანია, რაც ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი და საინტერესოა. ქვეყანას ეკოტურიზმის განვითარების ძალზე დიდი პოტენციალი გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ საქართვლოს ნებისმიერი სოფელი ეკოლოგიური კერაა, რომელიც ადგილობრივი თემებისა და რეგიონებისთვის ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს და ამავედროს აღიარებს და პატივს სცემს ადგილობრივ ბუნებას და კულტურას, ტრადიციებსა და ღირებულებებს.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივებია. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ: ბუნებრივი ლანდშაფტების დიდი ნაირფეროვნებით, კლიმატური ზონების ფართო დიაპაზონით, უნიკალური ეკოსისტემების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების სიუხვით. რესურსს ავსებს წეს-ჩვეულებათა მრავალფეროვნება, ფოლკლორის უნიკალურობა, რეწვა და სამზარეულო. ქვეყანში ეკოტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვანი პროცესი იქნება, რომელსაც შეეძლება შესამჩნევი გავლენა იქონიოს ქვეყნის პერიფერიული რეგიონების ეკონომიკაზე, შეეძლება ქვეყანაში შემომსვლელთა ნაკადის სტიმულირება და გააქტიურებს უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების დასაცავად მიმართულ საქმიანობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში, გარდა ტრადიციული, კულტურულ ობიექტებზე ორიენტირებული ტურიზმისა, პრიორიტეტულად უნდა განვითარდეს ეკოლოგიური ტურიზმი.

ეკოტურიზმის განვითარების ძირითად რესურსულ პოტენციალს წარმოადგენს:

- ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული პოტენციალი;
- ტყის რესურსები, რომელიც დამოკიდებულია ტყის მეტყევურ-ტაქსაციურ ელემენტებზე (კოლომის შემადგენლობა, სიხშირე, ხმოვანება, ტყიანობის პროცენტი და სხვა).
- საკურორტო-ტურისტული მომსახურების თვალსაზრისით ტერიტორიის გამომხატველი სპეციალიზაცია;
- ინფრასტრუქტურა და თანამედროვე კომუნიკაციური მომსახურეობა და სხვა.

საქართველოს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია, რის გამოც მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომლის მიმართაც ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა, თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური და სხვა სასარგებლო რეკრეაციული რესურსების გამო.

ამჟამად საქართველოში მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებულია შემდეგი სახის საკურორტო-რეკრეაციული ზონა:

1) ზღვისპირა საკურორტო ზონა;
2) ბალნეოლოგიურ-სამკურნალო კურორტების ზონა (ზ.დ. 700 მ-მდე);
3) ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტების ზონა (ზ.დ. 700-1000მ);
4) სამთო კლიმატური კურორტების ზონა (ზ.დ. 1000-1500მ);
5) სამთო-კლიმატური კურორტების და სამთო ტურისტული მარშრუტების ზონა (1500-2000მ);
6) სამთო ტურიზმის, სამთო-სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის ზონა (ზ.დ. 2000მ და მაღლა).

ყველა ჩამოთვლილ საკურორტო-რეკრეაციულ ზონებში ერთ-ერთ უდიდეს რესურსს ტყე წარმოადგენს, რომელიც მოიცავს მცენარეულობის, ცხოველების, ფრინველების და სხვა უნიკალური სასარგებლო რესურსების ერთობლიობას, ამიტომაა, რომ ეკოტურიზმი გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

საქართველოში დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 627104,7255 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 9%-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 20 აღკვეთილი, 41 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია.[8]

ამათგან ერთ- ერთ მონახულებად ადგილებად შეიძლება ჩაითვალოს ბორჯომ-ხარაგაულის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, რომელთა ვიზიტორები ყოველწლიურად იზრდება. (2018 წლის მონაცემებით 62 ათასამდე და 60 ათასამდე ტურისტით).

ბორჯომ-ხარაგაული - ეროვნული პარკი მდებარეობს საქართველოს შუაგულში. მის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ

[8] დაცული ტერიტორიების სააგენტო

ნაწილისათვის დამახასიათებელი კარგად შემონახული ტყისა და მაღალმთის მდელოთა ეკოსისტემები, მეტად მრავალფეროვანი ლანდშაფტი და კავკასიისთვის დამახასიათებელი ცხოველთა პოპულაციები. გარდა ამისა, პარკის რეგიონი განსაკუთრებით მიმზიდველია ადრექრისტიანული ეპოქის მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლით.

ამგვარად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ცხოველთა და მცენარეთა ბევრი სახეობის და ისტორიულ-კულტურული ძეგლების თავშესაფრად შეიძლება განვიხილოთ.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განლაგებულია არაერთი თანამედროვე, პარკთან შესაბამისი თავშესაფარი. მოწყობილია მეტეოსადგურები. ბორჯომსა და ხარაგაულში შექმნილია კეთილმოწყობილი ვიზიტორთა ცენტრები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აუდიო-ვიდეო ტეკნიკით. ამასთანავე ხორციელდება კვლევისა და მონიტორინგის, ეკოლოგიური განათლების, ვიზიტორთა და ადმინისტრაციის პროგრამები. სპეციალური საჭიროების მქონე პირების(სსმპ) მონაწილეობით იმართება ტრენინგები და შეხვედრები. ამიტომ ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკში სსმ პირთათვის ადაპტირებული ეკო -ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაც იგეგმება. პროექტის მიზანია სსმ პირების სოციალური ინტეგრაცია ტურიზმის განვითარებაში.

დაცული ტერიტორიების სააგენტო აქტიურად მუშაობს სსმ პირებისთვის ეკო - ტურისტული ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე. 7 დაცული ტერიტორიის ვიზიტორთა ცენტრში უკვე მოწყობილია სპეციალური პანდუსები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ეკოტურიზმის განვითარებისათვის საკმარისად დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად ჯერ კიდევ სერიოზული და მრავალმხრივი მუშაობაა ჩასატარებელი, რათა პარკმა თავისი საიმედო, კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს ევრაზიული ტურიზმის სივრცეში. ამისათვის საჭიროა ყველა იმ დადებითი ფაქტორის გამოყენება, რომელიც პარკს დღევანდელ პირობებში აქვს. ამათგან ძირითადია:

- ხელსაყრელი ტურისტულ-გეოგრაფიული და სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა ევრაზიის კონტინენტზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების საკონტაქტო ზონაში;
- ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეთა მრავალგვარობა, ისინი მჟღავნდება ბუნების კომპონენტების (ჰავა, რელიეფი, სამკურნალო-მინერალური წყლები და სხვ.) დასახლებული პუნქტების, ისტორიულ-არიქტექტურული ძეგლების, მოსახლეობის ეთნოკულტურული თავისებურებების მრავალფეროვნებასა და კონტრასტულობაში. შედარებით პატარა ტერიტორიაზე მრავალი განსხვავებული ლანდშაფტისა და ობიექტის კალეიდოსკოპური ნახვის საშუალება ბევრ ტურისტს დააინტერესებს;

- რეკრეაციული სიახლის მიმზიდველობა ანუ ტურისტის სწრფვა ახალი და ნაკლებად ცნობილი ქვეყნის მოსანახულებლად, მაშინ როდესაც მსოფლიოში მოგზაურთა 65%-მდე მიილტვის იმოგზაუროს და დაისვენოს სუფთა, ბუნებრივ გარემოში;
- ქართველ ხალხში გენეტიკურად გამჯდარი სტუმართმოყვარეობის ბუნებრივი და არა ხელოვნური გამოვლინება, რომელიც სუბიექტებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს აყალიბებს და კავშირებს ახანგრძლივებს.

თავისი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი რეგიონის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად იქცა. ვიზიტორთა ინტერესების გათვალისწინებით აქ არის როგორც რთული, ძნელად სავალი და გრძელი, ასევე მარტივი და მოკლე მარშრუტები.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობა არ შემოიფარგლება მარტო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოვლა-პატრონობით, მისი ძირითადი საქმიანობის მიმართულებას წარმოადგენს ხელი შეუწყოს პარკის დამხმარე ზონაში ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც თავის მხრივ, დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის და მეტი შემოსავალი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ეროვნული პარკის მდგრადობისა და ეკონომიკურად სტაბილური სარგებლის შესანარჩუნებლად, აუცილებელია პარკის გამტარუნარიანობის პოტენციალის განსაზღვრა, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ტურისტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიიღოს პარკმა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ტურისტული ბილიკები სიგრძით და სირთულით ერთმანეთისგან განსხვავდება და გათვლები ისე არის წარმოებული, რომ რესურსების დაზიანების თავიდან ასაცილებლად მოკლე და გრძელმა მარშრუტებმა უნდა მიიღოს ტურისტთა თითქმის ერთნაირი რაოდენობა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეგიონში სხვა დარგებისგან განსხვავებით ტურიზმი არის ერთ-ერთი ძირითადი და პრიორიტეტული დარგი. კერძოდ ეს პრიორიტეტულობა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას. მისი განვითარებისათვის ადგილზე არსებობს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი; იგი არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს მცირე ბიზნესის განვითარებისთვის; მისი წარმოებისათვის არსებობს წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება.

ამგვარად, ეროვნულ პარკებში ტურიზმის განვითარება რეალურ ეკონომიკურ ზემოქმედებას მოახდენს, როგორც რეგიონის განვითარებაზე, ასევე გარკვეულწილად უზრუნველყოფს ქვეყნის ბიუჯეტს სავალუტო შემოსავლებით.

სტატისტიკის მიხედვით ყოველწლიურად იზრდება ეკოტურიზმით დაინტერესებულ ტურისტთა რაოდენობა, რაც თავის მხრივ, ბორჯომ-ხარაგაულის სტუმართა რაოდენობაზეც აისახა. ბოლო ათი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ 2007 წელს რვა ათასამდე ტურისტი ეწვია საქართველოს ეკოტურიზმის განხრით, 2018 წელს მარტო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ეწვია 61 ათასზე მეტი ტურისტი, რაც კიდევ ერთხელ

ამტკიცებს იმას, რომ ჯანსაღი მიდგომისა და სწორად არჩეული მენეჯმენტის შემთხვევაში ბევრად მეტის მიღწევა არის შესაძლებელი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორია - საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ლაგოდეხის რაიონში მდებარეობს და მოიცავს რა ლაგოდეხის ნაკრძალსა და აღკვეთილს, განფენილია დიდი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე. დაცული ტერიტორიის სიმაღლე ზ.დ. 400-დან 3500 მ-მდე მერყეობს.

საქართველოს ეს მხარე ისტორიული ჰერეთია, ძველ მატიანეებში არაერთხელ ვხვდებით ლაგოეთის, ლაკუათის და ლაკუასტის ხსენებას. კიდევ უფრო ძველ დროში კი ეს ადგილები კავკასიის ალბანეთის სამეფოში შედიოდა. ეტყობა, რომ ამ ადგილებში ადამიანს უხსოვარი დროიდან უცხოვრია. ლაგოდეხის რაიონში მრავლადაა წინარექრისტიანული ნასახლარი და სამარხი.

ბევრია ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების ძეგლები.

ლაგოდეხი საკმაოდ მდიდარი რაიონია. მევენახეობის, მეფუტკრეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის, რძისა და ზეთის წარმოების აქ ყველა პირობაა, მაგრამ ლაგოდეხს აქვს კიდევ ერთი სიმდიდრე, რომლის მატერიალურად შეფასება ყოვლად შეუძლებელია... ეს სიმდიდრე ლაგოდეხის ბუნებაა. ერთმანეთის მონაცვლე გასაოცარი რელიეფით, იშვიათი მცენარეებითა და ნადირ-ფრინველით საოცრად მდიდარი ლაგოდეხის ტყეები და მთები თავისი მრავალფეროვნებით არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბითაა გამორჩეული და ჩვენი ქვეყნის ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს, რომელსაც დაცვა და გაფთხილება ესაჭიროება.

ფლორითა და ფაუნით მდიდარმა ამ ადგილებმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიიქცია ბოტანიკოსთა და ბუნების მოყვარულთა ყურადღება, საბოლოოდ კი 1912 წლიდან ლაგოდეხის ხეობა გამოცხადდა ნაკრძალად, რომლის ტერიტორიაზე ხის ჭრა, ნადირობა და საქონლის ძოვება აიკრძალა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პოლონელ გადამდგარ ოფიცერს მლოკოსევიჩს.

1875 წელს მლოკოსევიჩს დაებადა ეჭვი, რომ ლაგოდეხის მთებში მობინადრე როჭო ევროპულისგან განსხვავდებოდა. ამ ეჭვის დასამტკიცებლად მან რამდენიმე მოპოვებული ინდივიდი იმ დროის მოწინავე ბიოლოგებს გაუგზავნა, რითაც ახალ აღმოჩენას დაუდო საფუძველი. იმავე წელს კავკასიური როჭო ცალკე სახეობად აღიარეს და აღმომჩენის საპატივცემლოდ მლოკოსევიჩის როჭო (Tetrao Mlokosiewiczi) უწოდეს.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები მოგზაურთა და ბუნების მოყვარულთათვის ნამდვილ სამოთხეს წამოადგენს. რეგიონის რბილი, სუბტროპიკული კლიმატი, ბარისა და მთის ხელუხლებელი ტყეები, თვალწარმტაცი ალპური მინდვრები და თოვლიანი მწვერვალები, იშვიათი და ენდემური ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება, ისტორიული ძეგლები და სტუმართმოყვარე ლაგოდეხელები - ყოველივე ეს ტურიზმის განვითარებისათის საუკეთესო წინაპირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ლაგოდეხის ნაკრძალში ტურიზმი ნებადართული არ იყო, აქ მაინც უამრავი უცხოელი ჩამოდიოდა - ძირთადად კვლევის წარმოების მიზნით. ცოტა ხნის წინ ნაკრძალს ახალი კატეგორია - აღკვეთილი დაემატა და შესაძლებელი გახდა ამ დაცულ ტერიტორიაზე ტურისტთა ოფიციალური მიღება და მომსახურება. ამისათვის შეიქმნა და იქმნება ტურისტული ინფრასტრუქტურა. ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკები, მარშრუტებზე დაიდგა საინფორმაციო დაფები და აშენდა ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრები და თავშესაფრები. ასევე მიმდინარეობს ხის კენწეროების ბილიკების მოწყობა, რომელიც მოიცავს კოშკურებს, საჰაერო ბილიკს, ხიდებს, საგანმანათლებლო და საინტერპრეტაციო ინტერაქტიულ პორტალებს.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები მიმზიდველია სხვადასხვა ინტერესის მქონე მოგზაურთათვის. აქ საოცნებო და სასურველი არდადეგები შეიძლება გაატაროს ყველამ, ვისაც უყვარს მთაში ფეხით ან ცხენით გასეირნება, ფრინველებისა და ცხოველების თვალთვალი, ფოტოგრაფია, ან უბრალოდ სუფთა და ჟანგბადით მდიდარ გარემოში დროის გატარება. ერთ დროს ვიზიტორთათვის დახურული ნაკრძალი დღეს ყველა პირობას გვთავაზობს, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე თუ სტუმარი დატკბეს ლაგოდეხის მშვენიერებით და შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდეს ამ მართლაც და ღვთიურ ადგილზე მოგზაურობის შემდეგ.

ეროვნული პარკის და ტურიზმის ურთიერთობის ქვაკუთხედია ბუნებრივი ტურიზმი და განსაკუთრებით, მისი კონტროლირებადი ფორმა - ეკოტურიზმი. მისი საფუძველია გარემოზე ზრუნვა, სადაც მთავარია ბუნების შედარებით ხელუხლებელ მონაკვეთებში შეზღუდული რაოდენობის მონაწილეთა მოგზაურობის ორგანიზება იმ ადგილების მონახულების მიზნით, რომელიც ბუნებრივ-კულტურულ ინტერესს იწვევს. ძირითადი აქცენტი კეთდება ბუნებისადმი სათუთ დამოკიდებულებასა და ბუნებრივი რესურსების გააზრებულ გამოყენებაზე მათი აღდგენის, მოვლის და დაცვის მიზნით. იგი ხშირად უპირისპირდება მასობრივ ტურიზმს და გამოირჩევა სპეციფიკური ტურისტული რესურსების (უნიკალური და ნაკლებად შეცვლილი ბუნება, ისტორიული ძეგლების, ეთნოგრაფიული ელემენტების) მდგრადი გამოყენებით, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით და ეკოლოგიური განათლების ორგანიზაციით.

ტურიზმის სახეობებს შორის იგი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და პოპულარულია მათ შორის, ვისაც აღელვებს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პრობლემები, სურს ბევრი გაიგოს ადგილობრივი კულტურისა და ეკოლოგიური ვითარების შესახებ.

ეკოლოგიური ტურიზმი გაიაზრება როგორც დასვენების, ბუნებაში მოგზაურობის, საგანამანათლებლო, სათავგადასავლო, შემეცნებით-კულტურული და ეკონომიკურ საქმიანობათა ერთობლიობა, რომლის ზეგავლენა საზოგადოებაზე მეტად მნიშვნელოვანია. პრაქტიკულად ყოველდღიურად

ფართოვდება მისი გავრცელების გეოგრაფია, დამთვალიერებელთა და რეკრეანტთა მომსახურების რიცხოვნობა, ძლიერდება მისი როლი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებაში. ამიტომაც ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს სრულყოფილად გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-რეკრეაციული, კულტურული და დემოგრაფიულ-ეკონომიკური რესურსების პოტენციალი, აქტიურად ჩაერთოს სოციალურ-ეკონომიკურად ხელსაყრელ მსოფლიო სისტემაში.

ტურისტთა რაოდენობის ზრდის მიხედვით არც ლაგოდეხი წარმოადგენს გამონაკლისს და 2007 წლისგან განსხვავებით 2018 წელს მარტო ლაგოდეხის სტუმართა რაოდენობამ მიაღწია 58 ათასამდე ტურისტს, რაც ასევე სწორი მენეჯმენტისა და დაგეგმვის დამსახურებაა.

ტურიზმის დარგის ერთ-ერთი მიმართულების - ეკოტურიზმის განვითარება დიდად არის დამოკიდებული როგორც დაუზიანებელი ბუნების არსებობაზე, ასევე გარემოს დაცვის კარგ ორგანიზაციაზე. ამ ორი ძირითადი ფაქტორის გარეშე ტურიზმის აღნიშნული სახეობა თავის ფუნქციას კარგავს, ამიტომაც მისი ყველაზე მდგრადი განვითარება მიიღწევა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლესებში ანუ ეროვნულ პარკებში, სადაც ცალ-ცალკეა განსაზღვრული ტურისტული და დაცვითი, ბუნებრივი და ეთნოგრაფიულ-კულტურული ზონის ფუნქციები. ეკოტურიზმს შეუძლია თვითონ გამოიმუშაოს სახსრები ბუნების დაცვისა და ეთნოგრაფიულ-კულტურული თავისებურებების შესანარჩუნებლად, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ტურისტული რესურსების აღდგენა-განახლებასაც.

თუ ეკოტურიზმის განვითარება შედარებით იაფი ჯდება ორგანიზატორებისათვის, სამაგიეროდ მომსახურების თვალსაზრისით იგი ტურისტებისთვის ჩვეულებრივ ტურიზმზე შედარებით ძვირადღირებულია. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ეკოტურისტული ნაკადები (წესისამებრ, შედგება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებისგან, რომელთა ასაკი 30-50 წელია) ყოველწლიურად მატულობს და ძირითადად მიმართულია აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ბუნების ეგზოტიკური ადგილებისკენ.

ეკოტურიზმის განვითარება იძლევა ეკონომიკური ზრდისა და ბუნების დაცვის შეთავსების საშუალებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც მეურნეობის გაძღოლის ტრადიციული მეთოდები ნაკლებეფექტიანია და რესურსების მნიშვნელოვან დეგრადაციას იწვევს.

ეროვნულ პარკებში ტურიზმის განვითარების შედეგად მიღებული სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი გამოიხატება შემდეგში:

- ტურიზმი უზრუნველყოფს ადგილობრივ მცხოვრებთა დასაქმებას, როგორც უშუალოდ ტურიზმის, ასევე რესურსების მართვისა და მოვლის სხვადასხვა სექტორში;

- სტიმულს აძლევს ადგილობრივ შემოსავლიან წარმოებას - სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვის ნიმუშები და სხვა;
- წარმოადგენს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანის ერთ-ერთ წყაროს;
- ადგილობრივ ეკონომიკაში შეაქვს მრავალფეროვნება, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც სასოფლო სამეურნეო საქმიანობა არარეგულარული ან არასაკმარისია;
- ხელს უწყობს კაპიტალის მოზიდვას და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ამაღლებას;
- აუმჯობესებს ადგილობრივი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურას;
- ხელს უწყობს სხვადასხვა ხალხების ურთიერთგაგებასა და საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას;
- ეკოტურიზმის სწორ განვითარებას და მართვას შეუძლია პარკის ადმინისტრაცია უზრუნველყოს თვითდაფინანსების მექანიზმით და გამოდგეს ბუნებრივი მემკვიდრეობის შენახვის ინსტრუმენტად;
- ეროვნული პარკებისა და მათთან დაკავშირებული ტურისტული ნაკადების შემწეობით იქმნება რეკრეაციული ობიექტები, რითაც შეუძლია ისარგებლოს როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ისე უცხოელებმა;
- იგი დაზიანებული ბუნების აღდგენის მასტიმულირებელია, რადგან მთავრობა და მოსახლეობა რწმუნდება ეროვნული პარკების შექმნის აუცილებლობაში;
- იმ ტერიტორიებზე, სადაც მიწა შედარებით მწირია, ან გამოუსადეგარია სოფლის მეუნრეობისათვის, ტურიზმით მოტანილი სარგებელი უფრო ღირებული ხდება რადგან, სწორად დაგეგმილი და კონტროლირებადი ბუნებრივი ტურიზმი (რაც ეკოტურიზმის არსია) ერთდროულად წარმოადგენს ბუნების აღდგენის არადამაბინძურებელ წყაროს.

ეროვნულ პარკებში ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს როგორც პარკისთვის, ისე მისი რეგიონის დამხმარე ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რაც თავის მხრივ კიდევ ერთი დადებითი მხარე არის ტურიზმის ამ მიმართულებისთვის.

2.2 ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები ბორჯომ-ხარაგაულისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

საქართველო უნიკალური ქვეყანაა, მის ყველა კუთხეში ნაკრძალები და დაცული ტერიტორიებია. ეს ნაკრძალები მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც, რადგან აქ მესამეული ანუ ძველი პერიოდის ტყეებია შემორჩენილი. როგორც უკვე ვიცით ეკოტურიზმი ხელუხლებელ ველურ გარემოში ჰპოვებს განვითარებას. მიუხედავად დიდი ეკოტურისტული პოტენციალისა, მაინც არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელიც ხელს უშლის მის განვითარებას. კერძოდ კი ტურისტების გადაადგილების უსაფრთხოებისთვის ეროვნულ პარკებში სათანადო ინფრასტრუქტურა - ამ მხრივ რთული სიტუაციაა. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურის ნაწილი დანგრეული და გაპარტახებულია. ეროვნულ პარკებში მეტი უცხოელი ადის, ვიდრე ქართველი. ეროვნული პარკების დაარსება გარკვეულწილად ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ისინი დაცული ტერიტორიების ნაწილს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. პარკების გაკეთებით ფერმერების საქმიანობის არეალი შემცირდა. სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, თუმცა მიზეზი მარტო ეს არ არის. დაცულ ტერიტორიებზე თვითნებურადაა მოწყობილი საქეიფო ადგილები, დაყრილია ნაგავი.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტურისტები აბინძურებენ გარემოს. ეროვნული პარკების ზოგ ადგილებში კლდოვანი ლანდშაფტია, მათი დასუფთავება ფიზიკურად შეუძლებელია. ხშირად ასეთ ადგილებში ტურისტები ხიდებიდან ნაგავს ყრიან.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ბრაკონიერობის შემთხვევებიც. დაცული ტერიტორიების მცველები-რეინჯერები მობილიზებულნი არიან. ყველა დაცულ ტერიტორიას, რა თქმა უნდა, ჰყავს საკუთარი დამცველი - რეინჯერი. ისინი დღეში რამდენჯერმე უვლიან დაცულ ტერიტორიას, ამოწმებენ და იცავენ მას. დღეს უკვე რეინჯერები სათანადოდ აღჭურვილნი და მობილიზებულები არიან, მაგრამ ბრაკონიერობის პრობლემა მაინც აქტუალურია. ნაკრძალებში ხშირად ნადირობენ უკანონოდ. გასულ წლებთან შედარებით ბრაკონიერობის შემთხვევები შემცირდა, რადგან ახლა ამ საკითხს სახელმწიფო მეტ ყურადღებას უთმობს. რეალურად ბრაკონიერობის სრულად აღკვეთა ვერ მოხდება. დაცულ ტერიტორიებზე ცხოველების რაოდენობის შემცირება ყოველთვის საგანგაშოა. მათ რიცხვში აუცილებლად მოჰყვება ისეთი ცხოველი, რომელიც ენდემურია, გადაშენების პირას ბევრი სახეობაა მისული. თუმცა, ჩრდილოეთ კავკასიაში საომარმა ვითარებამ ბევრ ცხოველს სამხრეთ ფერდობზე მიგრაციის პირობა შეუქმნა და იქიდან გამოქცეული ცხოველი ჩვენს ტერიტორიაზე აფარებდა თავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 15 წლის განმავლობაში, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, უსისტემოდ ხდებოდა ცხოველების განადგურება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებდა მათ რიცხვს. შედეგი სახეზეა. 2008 წელს ტყის მასივების განადგურებამაც გამოიწვია გარკვეული ჯიშის ცხოველების შემცირება და განადგურება.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გადაშენების ზღვარზე მყოფთა რიცხვში შედის ჯიხვი. მონადირეებისთვისაც ჯიხვი ყველაზე სასურველი ნადავლია. ჯიხვი უკვე ენდემთა რიცხვშია შესული, ანუ გადაშენების პირას არის. საჭიროა მისი გადარჩენისთვის გარკვეული ღონისძიებების გატარება. 2005 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და ქმედებათა გეგმა“. ამ დოკუმენტმა გარკვეულად ასახა დაცული ტერიტორიების არსებული პრობლემები და მათი გადაჭრისათვის შეიმუშავა 10 წლიანი სტრატეგია და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა. ბევრი საკითხი კვლავ პრობლემად რჩება და გადაჭრას მოითხოვს. ამიტომ, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საჭიროა შემდგომი მოქმედებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

დაცული ტერიტორიების სისტემაში დღესდღეისობით, არ არსებობს ერთიანი სამოქმედო გეგმა, და მექანიზმი დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მუშაობისთვის, რაც ზოგად სისტემურ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს. სათანადო ყურადღება არ ეთმობა დაცულ ტერიტორიებს შორის სამიგრაციო დერეფნების არსებობის, დაცულ ტერიტორიებს შორის არსებული ტერიტორიის მდგრად გამოყენებას და ხელთ არსებული ინფორმაციის გაცვლის საკითხებს.

დაცული ტერიტორიების დიდ ნაწილს არ გააჩნია მენეჯმენტის გეგმა. არსებული მენეჯმენტის გეგმების უმეტესობის მოქმედების ვადა ამოწურულია ან იწურება უახლოეს მომავალში.

დაცული ტერიტორიების სრულყოფილ მართვას გარკვეულწილად ართულებს ის ფაქტი, რომ დაცულ ტერიტორიებზე, იქ სადაც დაშვებულია სამეურნეო საქმიანობა, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზირებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბუნებრივი ლიცენზიების დეპარტამენტი და ამდენად, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ამ ბუნებრივი რესურსების მართვა არ ხორციელდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

დაცული ტერიტორიების დაფინანსება მწირია და არამდგრადი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იგი ვერ უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების სრულფასოვან მენეჯმენტს, ფინანსურ მდგომარეობას და განვითარებას.

დაცული ტერიტორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასრულყოფილია, რაც არასაკმარისი ბიუჯეტის პირობებში განაპირობებს ტერიტორიების დაცვისა და კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებების განხორციელების მწირ შესაძლებლობებს.

ასევე არასრულყოფილია არსებული საკანონმდებლო ბაზა. არსებული კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ მოიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის ნორმა-პრინციპებს და არ ადგენს ქცევის კონკრეტულ ნორმებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პროფესიონალი და თანამედროვე ცოდნის მქონე კადრები, რომელთა რიცხვი არც თუ ისე დიდია, უნდა ხდებოდეს ახალგაზრდების დაინტერესება ტურიზმის სფეროში. ასევე საჭიროა უფრო მეტი სახელმწიფო პროგრამა თანამშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

არსებული ეკოლოგიური სიტუაციისა და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ზოგიერთი დაცული ტერიტორია საჭიროებს კატეგორიის შეცვლას. მაგალითად, ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე ძლიერ არის დეგრადირებული ეკოსისტემები და მათი აღდგენა აქტიურ მენეჯმენტს მოითხოვს, თუმცა მსგავსი ქმედება სახელმწიფო ნაკრძალში იკრძალება.

დაცული ტერიტორიის ფარგლებში უკანონოდ მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების მოპოვება (ძირითადად ხე-ტყის). მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ეს საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

დაცულ ტერიტორიებზე საჭირო საბაზისო კვლევების ჩატარება ძალიან დაბალ დონეზეა. მცირეა დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევები და კონსერვაციის პროექტები. ისინი არასისტემატიურად და არაკოორდინირებულად ხორციელდება. ნელი ტემპით მიმდინარეობს მონიტორინგის სისტემის დანერგვა. გამონაკლისს წარმოადგენს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, სადაც მონიტორინგის სამსახური შექმნილია და ფუნქციონირებს.

ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებისას თავს იჩენს რიგი პრობლემური საკითხები. მაგალითად, ერთი და იმავე ტერიტორიული ერთეულის განვითარებაზე სხვადასხვა უწყებასა თუ დინტერესებულ მხარეს განსხვავებული

ხედვა გააჩნია. ეს ხდება უწყებათაშორისი ან მხარეთაშორისი დაპირისპირების მიზეზი, განსაკუთრებით მწვავეა ეს დაპირისპირება ხელისუფლების ორგანოთა შორის არსებული სუსტი კოორდინაციიის პირობებში.

მიწის საკუთრების და მიწათსარგებლობის საკითხი ასევე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე ჩატარებული მიწის სპონტანური პრივატიზაციისა და არასრულყოფილი საკადასტრო მონაცემების არსებობის პირობებში, ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც დაცული ტერიტორიის ფარგლებში მოხვედრილი მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაშია ან იჯარით არის გაცემული. აღნიშნული პრობლემა ხშირად ხდება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის მიზეზი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება ლექცია-სემინარებისა და მოსახლეობასთან შეხვედრების რაოდენობა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს თითოეულ კუთხეს. რადგან მათი ინფორმირებულობა დაცული ტერიტორიებისა და მათი სარგებლიანობის შესახებ არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს 90 000 ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა ეკო - საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში, მაინც დაბალია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი დაცული ტერიტორიების დაგეგმვას, შექმნასა და ფუნქციონირებაში, რაც ხშირად იწვევს მოსახლეობისა და დაცული ტერიტორიების ინტერესების დაფარვას. აღნიშნული კი განაპირობებს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას დაცული ტერიტორიების მიმართ და ზოგ შემთხვევაში, კონფლიქტს.

მოსახლეობასთან სიტუაცია მწვავდება როდესაც ესა თუ ის დაცული ტერიტორია იწყებს გაფართოებას და შესაბამისად, იზღუდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს რიგი პრობლემებისა, რომლებიც არსებობს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით: დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მუშაობისა და ერთიანი სამოქმედო გეგმის არარსებობა; დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის თანამედროვე სისტემის არარსებობა; არასაკმარისი დაფინანსება; დაცული ტერიტორიების არასრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; არსებული საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება; კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებისათვის დაფინანსების არარსებობა; ზოგიერთი დაცული ტერიტორიის არაეფექტურობა ფართობის სიმცირის გამო; მენეჯმენტის გეგმების არარსებობა დაცული ტერიტორიების უმეტესობისათვის; ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვება; ბრაკონიერობა; მონიტორინგის სისტემის არარსებობა; ინტერესთა კონფლიქტი სხვადასხვა უწყებასა თუ დაინტერესებულ პირებს შორის; ინტერესთა კონფლიქტი ადგილობრივი მოსახლეობისა დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით; მიწის საკუთრებისა და მიწათსარგებლობის საკითხების გაურკვევლობა; მოსახლეობის დაბალი ცნობიერება; დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურის არასრულყოფილება; სუსტი სახელმწიფოთაშორისი კოოპერაცია.

ეკოტურიზმი იმგვარი მოგზაურობაა, რომელიც არა მარტო ეკოსისტემების კონსერვაციას ემსახურება, არამედ, ამავე დროს, პატივს სცემს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფაა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხელოვნურადაც კი არის ჩამოცილებული ამ პროცეს. ადგილობრივი მოსახლეობის ეკოტურიზმის განვითარებაში ჩართვა მხოლოდ პრეს-რეალიზების თუ ფინანსური დახმარებების გადაცემაში, ან სკოლების, საავადმყოფოების და სხვა სოციალური სამსახურების ტურიზმიდან შემოსული თანხებით დაფინანსებაში არ უნდა გამოიხატებოდეს. ეკოტურიზმი მათთვის არამარტო შემოსავლიანი არამედ სანახაობრივიც უნდა იყოს. თუ მოსახლეობას აეკრძალება ტრადიციული ხასიათის ეკონომიკური საქმიანობების განხორციელება, მას ალტერნატივა უნდა მოეძებნოს და ტურიზმის განვითრების პროექტები ამ პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვასაც უნდა გულისხმობდეს. ბუნებრივი და სოციო-პოლიტიკური რესურსების კონსერვაციის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენებას უფრო რეალური პერსპექტივა აქვს, რადგანაც გარედან მოსული მეწარმეები მხოლოდ მოკლე ვადაში, ეკონომიკური სარგებლის მიღებით არიან დაინტერესებულნი. ადგილობრივი მოსახლეობა სავარაუდოდ უფრო იზრუნებს ტრადიციებისა და ადგილისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილის შენარჩუნებაზე, ვიდრე გარედან მოსული. ორივე მხარის თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კონსერვაციის წესების დარღვევის (მაგალითად: ბრაკონიერობა, ტყის გაჩეხა) თავიდან ასაცილებლად. ამას გარდა, კიდევ არსებობს სხვა პრაქტიკული მიზეზები, რის გამოც აქცენტი ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე უნდა გაკეთდეს. ასეთი მიდგომის მიზანი მხოლოდ ეკონომიკური სარგებელი, გარემოს კონსერვაცია და სოციო-კულტურული ინტეგრაცია კი არ არის, არამედ ისიც, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს საკუთარი ბუნებრივი რესურსების დაფასებისა და შეფასების საშუალება, რომ ისინი ტურიზმის განვითარების პროცესს არც ფიზიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით არ ჩამოშორდნენ.

აუცილებელია მიწასა და საკუთრებაზე ინფლაციური წნეხის მაქსიმალურად შემცირება, რათა თავიდან ავიცილოთ უცხო მფლობელების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაწეული კონკურენცია. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლოს ეკოტურიზმის საკუთარი რესურსებით სარგებლობა და გართობა, მათთვის უნდა დაწესდეს განსხვავებული, შემცირებული გადასახადები. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ეკოტურიზმის განვითარებისათვის ქვეყანაში არსებობდეს საკანონმდებლო და სახელმწიფო რეგულირება.

2001 წელი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ეკოტურიზმის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. მანამდეც და ამ წლის განმავლობაში ბევრმა ქვეყანამ ჩაატარა სპეციალური ღონისძიებები, ჩამოაყალიბა მოქმედების ახალი

გეგმები, განავითარა დარგებსშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა ამ თვალსაზრისით. ამ დადგენილების ფარგლებში 48 ქვეყანამ შეიმუშავა ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია. ბუნებრივია, ეს სტრატეგიები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ზოგიერთმა ქვეყანამ ეკოტურიზმი ძირითად სეგმენტად წარმოაჩინა ტურიზმის ზოგად სტრატეგიაში; ზოგიერთმა (ლიტვა) - ეკოტურიზმი განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში ჩართო. პორტუგალიაში ის ბუნებრივი ტურიზმის სტრატეგიის ნაწილია , მაროკოში კი სოფლის ტურიზმის სტრატეგიისა. ზოგიერთ ქვეყანაში (ესპანეთი, საქართველო, არგენტინა) ეკოტურიზმის პოლიტიკა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტით დაკავებული ხალხის მიერ განისაზღვრება. ზოგიერთი ქვეყანა (სირია) „მწვანე ადგილებისათვის“ უპირატესობის მინიჭებას, ან კიდევ ტურისტული ადგილებისათვის „მწვანე“ პროგრამის შემუშავებას არჩევს.

გაეროს პროგრამაში გაერთიანებული ქვეყნების დაახლოებით 20% მაინც წარმართავს ეკოტურიზმთან დაკავშირებული გლობალური თვითშეგნების ამაღლების კამპანიას.

არის ისეთი ქვეყნები, რომელთაც ეკოტურიზმზე სპეციფიკური კანონმდებლობა არ გააჩნიათ. ისინი თვლიან, რომ ეკოტურიზმის საკითხების რეგულირება სხვადასხვა აქტებითა და კანონებითაა შესაძლებელი. მაგალითად, გარემოს დაცვითი კანონები ან დადგენილება ეროვნული პარკების შესახებ განსაზღვრავენ ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარებას და მენეჯმენტს. ზოგიერთ ქვეყანას აქვს კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, მიწის დაგეგმარებას და სპეციალურ კანონსაც კი ტურიზმის მდგრად განვითარებაზე. ამ სახის კანონმდებლობა როგორც წესი, განიხილავს ტურიზმის სხვა სახეობებს, რომლებიც შინაარსობრივად ახლოს დგანან ეკოტურიზმთან. ზოგადად, ეკოტურიზმი შემდეგ ცნებებთან ასოცირდება: არქეოლოგია, მიწის გამოყენების დაგეგმარება, ნადირობა, არქიტექტურა, ბუნებრივი რესურსები, ცოცხალი ბუნება, სანაპიროები.

კარგი იქნებოდა ასეთი კანონმდებლობის არსებობა საქართველოშიც, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარებას.

ეკოტურიზმი სამთავრობო დონეზე რამდენიმე სამინისტროს ინტერესებს აერთიანებს: გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, რეგიონული განვითარების, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროები. აშკარაა, რომ სამინისტროებს შორის აუცილებელია მოხდეს ჰორიზონტალური ინტეგრაცია ეკოტურიზმთან დაკავშირებით.

საბოლოოდ ის, რის გაკეთებასაც მთავრობისგან მოელიან ტურიზმის კომპანიები, მათ მიერ გადახდილი გადასახადებისაგან შემოსული თანხებით უნდა დაფინანსდეს. ამიტომაც სწორედ მთავრობის ინტერესებშია ისეთი პირობებისა და ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომელშიც კერძო ბიზნესს სერიოზული მოგების მოტანა შეუძლია. ძალიან ხშირად მოკლევადიან სარგებელს გრძელვადიანი ინტერესები ეწირება. ბლაიკის (1985) სიტყვებით, გარემოს დაცვის დეგრადაცია

ერთდროულად წარმოადგენს განუვითარებლობის შედეგს, სიმპტომსა და მიზეზსაც.

ეკოტურიზმის განვითარებას, პირველ რიგში, ბუნებრივია, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და სტიმულირება სჭირდება. საბედნიერიდ სახელმწიფო ხელს უწყობს და ცდილობს ტურიზმის განვითარებას. ეს ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებასა და სასტუმროების ქსელის გაფართოებაში გამოიხატება.

სახელმწიფომ აუცილებელად უნდა დაიცვას, შეინარჩუნოს და შექმნას უსაფრთხოების პირობები ჩვენი რესურსებისათვის. დაიცვას ტყე, ბუნება, ფლორა, ფაუნა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. უნდა იქნას დაცული ეკოლოგიური უსაფრთხოების მდგრადი განვითარების პრინციპები. ეს სახელმწიფოს მორალურად და იურიდიულად ევალება.

ეკოტურიზმის, სათავგადასავლო და აქტიური ტურიზმის ხელშეწყობის, განვითარების სტრატეგია ჩვენს ქვეყანაში გულისხმობს ლაშქრობებს, ეკოლოგიურ და ბუნებისგაცნობით ტურებსა და მარშრუტებს სპეციალური თემატიკის მიხედვით. ეკოტურიზმის ხელშეწყობისათვის აუცილებელია საქართველოს დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებთან მჭიდრო კოოპერაცია და ერთობლივი უწყებათაშორისი პროექტების განხორციელება. აქტიური და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული გამყოლების მომზადებასა და გადამზადებას. ასევე მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული გზამკვლევების, რუკებისა და სხვა საინფორმაციო მასალის მომზადებას, სამაშველო სამსახურის ორგანიზებას.

საქართველოსათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, რამდენადაც მისი შესაბამისი სექტორი ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული. ეკოტურიზმის განვითარება არამარტო ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, არამედ ხელს შეუწყობს ბუნებრივი ადგილების მდგრად განვითარებას.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები წარმოადგენდნენ ძირითად რგოლს იმიტომ, რომ მათ აქვთ მთელი რიგი უპირატესობები: შემეცნებითი თვალსაზრისით მდებარეობენ შედარებით ლამაზ, მიმზიდველ და საინტერესო ადგილებში; აქვთ ტურისტული ჯგუფების მომსახურებისა და ტურისტული მარშრუტების კარგად დამუშავებული სისტემა, საგანმანათლებლო სამუშაოებით დაკავებული ორგანიზაციების გამოცდილება; ფლობენ განსაზღვრულ ინფრასტრუქტურას და ყავთ მომზადებული პერსონალი;

ეკოლოგიურ ტურიზმს შეუძლია განსაკუთრებულად დაცულ, ბუნებრივ ტერიტორიებზე განავითაროს თავისი ყველა სახეობა, მაგრამ ნაკრძალების რეჟიმი განსაკუთრებულად მკაცრია სხვა სახის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებთან შედარებით და ეკოტურიზმს უყენებს გარკვეულ შეზღუდვებს.

ტურიზმის ინდუსტრიის და კერძოდ ეკოლოგიური ტურიზმის აღორძინების იდეით გამსჭვალულ ენერგიულ და ბიზნესის მცოდნე პირთა მიერ ჯერ კიდევ სერიოზული და მრავალმხრივი მუშაობაა ჩასატარებელი.

იმისათვის, რომ ეკოტურიზმის საქართველოში არსებული პოტენციალის მაქსიმალური ათვისება და გამოყენება მოხდეს, საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება, რისთვისაც უნდა გადაიდგას მკაცრი და ქმედითი ნაბიჯები.

- დაიხვეწოს და პრიორიტეტული მიმართულება მიეცეს ეკოლოგიურ - საგანმანათლებლო სფეროს განვითარებას. ამისათვის საჭიროა: გაფართოვდეს ურთიერთთანამშრომლობა მასობრივი კომუნიკაციების წყაროებთან, დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა მიერ გამოიცეს სტატიები, პუბლიკაციები, მომზადდეს საცნობარო ლიტერატურა დაცული ტერიტორიების შესახებ. გარდა ამისა, საჭიროა რეპორტაჟების, გადაცემების, სიუჟეტების მომზადებაში მონაწილეობა და პერიოდული გამოსვლები რადიოსა და ტელევიზიაში. ტრენინგებისა და სემინარების მომზადება და ჩატარება. გარემოს დაცვით თემატიკაზე ადგილობრივი მასმედიის ჟურნალისტებისათვის შესაბამისი მასალის მიწოდება. გაფართოვდეს სარეკლამო საქმიანობა დაცული ტერიტორიების შესახებ;
- ეკოლოგიურ საგანამანათლებლო საქმიანობის განვითარების სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით საჭიროა დაიხვეწოს ურთიერთთანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ალპურ საძოვრებზე მომთაბარე მწყემსებთან გახშირდეს შეხვედრები, მოეწყოს საუბრები დაცული ტერიტორიის მნიშვნელობასა და დაცვაზე;
- დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა შორის მოხდეს გამოცდილებისა და ინფორმაციის დროული ურთიერთგაცვლა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით;
- ეროვნული პარკების შემდგომი აღორძინებისა და განვითარების მიზნით საჭიროა გაძლიერდეს და გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და მონიტორინგის ჩატარება;
- მოხდეს ფლორა-ფაუნის სრული აღწერა, მოპოვებული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მონაცემთა ბაზის შექმნა, სხვადასხვა სირთულის საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკების დაგეგმვა-მარკირება და შესაბამისი რუკების მომზადება;
- რეინჯერებისა და გიდების ინტენსიური გადამზადება და მათთვის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ეროვნული პარკის ტერიტორიებზე სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების გაძლიერების მიზნით საჭიროა ასევე ყველა დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა, დამატებითი კონსულტაციების ჩატარება და სათანადო ინფორმაციის მიწოდება;

- ფლორა-ფაუნისა და ტურისტთა და დამსვენებლთა დაცვის მიზნით აუცილებელია კლიმატური ფაქტორების მონაცემების დადგენა, რისთვისაც საჭიროა მეტეოროლოგიური პირობების ზუსტად და სწორად აღრიცხვა. ინფორმაციის შეგროვება და შესწავლა მთელი წლის განმავლობაში;
- სისტემატურად უნდა ჩატარდეს ხშირად მონახულებადი ტერიტორიების მონიტორინგი, ტურისტული ბილიკებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მონიტორინგი და შეფასება. დაცვის თანამშრომელთა და რეინჯერთა მონიტორინგი, ასევე ტყეკაფებისა და გამოყოფითი სამუშაოების მონიტორინგი;
- რეიდების მოწყობა ტყის უკანონოდ სარგებლობის აღსაკვეთად;
- ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის განახლებისათვის დონორებთან ურთიერთობა და ა.შ.
- შესაქმნელია კეთილმოწყობილი სასტუმროებისა და ტურისტული მომსახურების სხვა ობიექტების ფართო ქსელი;
- მოსაწესრიგებელია ტურიზმთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის სხვა დარგებთან ერთად მის ნორმალურ განვითარებას;
- შესაქმნელია სპეციალური კადრების სწავლა-მომზადების სისტემა;
- შესაბამისად უნდა განვითარდეს მოსახლეობაში ტურისტულ - ეკოლოგიური განათლების პროგრამა;
- ასამაღლებელია სარეკლამო-საცნობარო, კარტოგრაფიული და პოპულარული ლიტერატურის საგამომცემლო დონე.

ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით საჭიროა: ახალი ტურისტული მარშრუტების ჩამოყალიბება, კონკრეტული ნაბიჯების განხორციელება დაცული ტერიტორიების ტურისტული მომსახურების „გაყიდვისა“ და პოპულარიზაციისათვის. პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა ტუროპერატორებისთვის. ტურიზმის განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვლევა და მათი მინიმუმამდე დაყვანის მექანიზმების შემუშავება. ტურისტების ინტერესთა სფეროს კვლევა და მათი გამოყენება ტურპროდუქტების შესაქმნელად. ახალი სერვისების დანერგვა და ინოვაციები. ვიზიტორთა მოთხოვნების შესაბამისად მომსახურებების ახალი სახეების შეთავაზება. ვიზიტორებთან მუდმივი კავშირი: ვიზიტორთა შთაბეჭდილებების გაზიარება, მათი გამოკითხვა კითხვარების საფუძველზე. ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების ყოველკვირეული სტატისტიკური აღრიცხვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტყის კაფვის აღრიცხვა და მონიტორინგი, რაც ძალიან მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს ადმინისტრაციის მხრიდან. ასევე საჭიროა ხანძარსაშიშ უბნებში პატრულირების გაძლიერება და კონტროლი. ხანძრების თავიდან აცილების მიზნით მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარება.

ერთ- ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თითოეული დაცული ტერიტორიის შესახებ სარეკლამო ვიდეო რგოლის არარსებობა. წელიწადში ერთხელ ვიდეო რგოლის გამოჩენა არ არის საკმარისი. უნდა ხდებოდეს მათი განახლება, ხშირი გამეორება. ასევე საჭიროა თითეული რეკლამის ტელევიზიასა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით მათი პოპულარიზაცია.

ზემოთ აღწერილი პრობლემების აღმოფხვრის შედეგად შესაძლებელი გახდება ჩამოსული სტუმრებისათვის უკეთესი პროდუქტის შეთავაზება და მათი კმაყოფილების დონის ამაღლება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ტურისტთა ინტერესს ჩვენი ქვეყნისადმი.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეკოტურიზმი საქართველოს დაცულ, ბუნებრივ ტერიტორიებზე, განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება, აქ ეკოტურისტები გაცილებით ნაკლები რაოდენობით არიან საზღვარგარეთის ეროვნულ პარკებთან შედარებით, რომელთაც წელიწადში რამდენიმე მილიონი ტურისტი სტუმრობს.

ყოველი უცხოელი ტურისტი, რომელიც ეწვევა საქართველოს და მის ბუნებას გაეცნობა, ეჭვგარეშეა, რამდენიმე პოტენციურ ტურისტს შესძენს ჩვენს ქვეყანას. შედეგად, ამ გზით შემოსული უცხოური ვალუტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ბუნებრივი რესურსების აღდგენა-განახლებას, ასევე ჩამორჩენილი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რამეთუ, დღეს ეროვნულ პარკებში დასვენება, გასეირნება, გართობა და ა.შ. ხელს უწყობს მომსახურე პერსონალთა დიდი რაოდენობით დასაქმებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და სხვა.

თავი III. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიების ფორმირება

3.1 მომსახურების ხარისხის ამაღლება - ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია

ტურისტული პროდუქტების შექმნისა და განვითარების პროცესში გამოყენებული სოციალური და ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება აისახება ეკოლოგიური ტურის ხარისში. მომსახურების ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ ტურისტული კომპანიებში მომხმარებლების რაოდენობრივ დინამიკაზე

დაკვირვებით. ტურისტული კომპანია მომხმარებლებს უნდა სთავაზობდეს საფირმო სტილის შესაბამის, მაღალი ხარისხის მომსახურებას. საყოველთაო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამგვარი სერვისი ტურისტულ ფირმასა და მომხმარებელს შორის ნდობის მოპოვების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ის ეხმარება მომხმარებლების მოზიდვაში, აყალიბებს დადებით დამოკიდებულებას კონკრეტული კომპანიის მიმართ, უზრუნველყოფს გაყიდვების სტაბილურ ზრდას.

მაღალი ხარისხის სერვისის არარსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს, რომლის გამოც ეროვნული ფირმები კონკურენციას ვერ უწევენ უცხოურ კომპანიებს. კონკურენციის პირობებში იმარჯვებს მხოლოდ ის, ვისაც ესმის ხარისხიანი მომსახურების მნიშვნელობა, ეს უკანასკნელი გულისხმობს მომსახურების კომპლექსს, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია წარმოების ტექნიკურად რთული ფაქტორების გამოყენებასთან (მანქანა-დანადგარები და სხვა სამრეწველო ტექნიკა) და უზრუნველყოფს მათ მუდმივ მზადყოფნას მაღალეფექტიანი ექსპლუატაციისათვის.

ხარისხიანი ეკოტურისტული მომსახურება პირველ რიგში ინფორმაციის დიდ რაოდენობას გულისხმობს: რუკები, სქემები, ბროშურები სხვადასხვა ენაზე, ბილიკები ნიშნულებით, სამეთვალყურეო შენობები და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიონალურად მომზადებული თარჯიმნების, მენეჯერების, ექსკურსია მძღოლ-ეკოლოგების და სხვა სპეციალისტების როლი.

ეკოლოგიურ ტურიზმში აუცილებელია ისეთი ეფექტური ღონისძიებების გამოიყენება, როგორიცაა სატელეფონო მარკეტინგი - ტელეფონის გააზრებული, დაგეგმილი გამოყენება გაყიდვებისა და მომსახურების შეთავაზებისთვის. მომსახურების ისეთი საშუალებების განვითარება, როგორებიცაა საფირმო სუვერინების გამოშვება კალენდრები, სტიკერები, საქაღალდეები, წიგნაკები, სადაც მინიშნებული იქნება ეკოტურისტული კომპანიების მისამართი და ტელეფონები.

მნიშვნელოვანია, რომ ეკოლოგიური ტურის ყველა შემადგენელი, განთავსება, ტრანსპორტირება, კვება, სანახაობა და ა.შ. ერთიან კომპლექსურ-ხარისხობრივ სისტემაში იყოს გაერთიანებული და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდეს ეკოტურის საერთო მაღალ ხარისხს. ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია სასტუმროებისათვის.ეკოტურისტებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, სასტუმროს ვარსკვლავების რაოდენობა, ერთი დღე-ღამის ღირებულება, მაცივრის, კონდენციონერის და ტელევიზორის არსებობა. ბუნებრივია, ორვარსკვლავიან სასტუმროში არ უნდა ველოდეთ კონდენციონერსა და პარფიუმერიას, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ეკონომიური, არამედ სოციალური პარამეტრებითაც. მაგრამ მოთხოვნების ელემენტარულ ჩამონათვალს ნებისმიერი სასტუმრო უნდა იცავდეს. სანდო საკეტები კარებზე, სახანძრო უსაფრთხოება, სუფთა თეთრეული, პერსონალის ელემენტარული თავაზიანობა და მრავალი სხვა ელემენტი მომხმარებლებთან მიმართებაში, ის

მინიმალური პირობები, რომელთა გარეშეც არ შეიძლება საუბარი სასტუმროში მაღალი ხარისხის მომსახურებაზე.

ექსკურსიებისა და მრავალფეროვანი ეკოლოგიური ტურების გარდა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს შეუძლიათ სტუმრებს შესთავაზონ დამატებითი ტურისტული მომსახურების მრავალფეროვანი სპექტრი:

♣ შესაძლებლობა დარჩნენ კემპინგზე და ისარგებლონ აბაზანით;

♣ სურვილისამებრ განთავსდნენ დაცული ბუნებრივ ტერიტორიების კუთვნილ ეკოლოგიურ სოფლებში;

♣ ეკოლოგიური ტრანსპორტით მომსახურება;

♣ საინფორმაციო მომსახურება;

♣ სხვადასხვა საგანმანათლებლო (ლექციები, სლაიდ-შოუ) კონსულტაციური მომსახურება;

♣ ბაზრობები, ფესტივალები გამოფენები და სხვადასხვა ღონისძიებები;

♣ ეკოლოგიური კაფეების მომსახურება, სადაც ტურისტს შეუძლია კომფორტულად დაისვენოს, მოუსმინოს ,,ეკოლოგიურ" მუსიკას და შეუკვეთოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისაგან დამზადებული კერძები;

♣ ტურისტული აღჭურვილობის გაქირავება;

♣ ეკოტურები, სქემები, რუკები;

♣ სუვენირები, მათ შორის დაცული ტერიტორიების სიმბოლიკით;

♣ ბეჭდვითი პროდუქცია (ბუკლეტები, ბროშურები, კალენდრები, ღია ბარათები და ა.შ);

♣ აუდიო, ვიდეო და ფოტო პროდუქცია.

ასეთი მომსახურების პოტენციალი შეიძლება ძალზედ ფართო აღმოჩნდეს. მათი რეალიზაცია დაგვეხმარება მოვიზიდოთ ტურისტების ახალი ნაკადი დაცულ ტერიტორიებში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობას. ეკოტურისტები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ შეთავაზებული სერვისების მაღალ ხარისხში, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეობამ და საწარმოებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ მიწოდებაში.

საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის სფეროში ტუროპერატორების საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს სერთიფიცირებას. შესაბამისობის სერთიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებს ტურისტული და საკურორტო მომსახურების ხარისხს და მის შესაბამისობას კონკრეტულ სტანდარტთან ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტთან[9]. ამრიგად, სახელმწიფო აკონტროლებს ხარისხიანი მომსახურების მინიმალურ პირობებს.ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკოტურისტს უფლება აქვს მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურება, მაგრამ ამავე დროს მათი მოვალეობაა გაუფრთხილდნენ გარემოს.

[9] საქართველოს 1997: საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ 171 06/03/1997, კონსოლიდირებული ვერსია(საბოლოო)15/07/2018

3.2. სარეკლამო კამპანია, როგორც ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ელემენტი

თანამედროვე საბაზრო პირობებში ეკოტურისტულ კომპანიას არ ძალუძს იარსებოს და აწარმოოს საქმიანობა რეკლამის გარეშე. ტურიზმის გლობალურ ბაზარზე მაღალი კონკურენციაა, ამიტომ საჭიროა მუდმივი მუშაობა საკუთარი ქვეყნის ან ტერიტორიის უპირატესობათა წარმოჩინებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მსოფლიოს წამყვანი ტელეარხების ეთერის გამოყენება, რომელთაც მილიონობით მაყურებელი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ არხებზე სხვადასხვა სარეკლამო რგოლებისა თუ დოკუმენტური ფილმების განთავსების მიზანია მსოფლიოსათვის იმის ჩვენება, თუ რა შესაძლებლობები აქვს ქვეყანას და რატომაა ამ ქვეყანაში მოგზაურობა საინტერესო. ასეთი გადაცემები ასევე ახდენენ პოტენციურ ინვესტორთა დაინტერესებას. თუმცა, ამგვარი სერვისი საკმაოდ ძვირადღირებულია, ამიტომ ხშირად საჭირო ხდება ალტერნატიული გზების უკეთ ათვისება.[10]

რეკლამა არის საშუალება, პოტენციური მომხმარებლის ყურადღება მიაპყროს რეკლამირების ობიექტზე, სხვადასხვა ეფექტური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით.

ეკოტურისტული პროდუქტის რეკლამა უზრუნველყოფს კავშირს ტურისტულ კომპანიასა და მოგზაურს შორის. თანამედროვე ეტაპზე რეკლამამ გადალახა საინფორმაციო ფუნქციის ვიწრო ჩარჩოები და თავის თავზე აიღო საკომუნიკაციო ფუნქცია, მისი საშუალებით შენარჩუნებულია ,,უკუკავშირი'' მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის, რაც ბაზარზე პროდუქციის მოძრაობის კონტროლის საშუალებას იძლევა.

საქართველოში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების უმრავლესობას არ გააჩნიათ ხარისხიანი საინფორმაციო-სარეკლამო რგოლი და საშუალება გავიდეს ეკოლოგიური ტურიზმის სპეციფიკურ საერთაშორისო ბაზარზე.

ეკოლოგიური ტურისტული ფირმის ინტერესის სფერო მოითხოვს უფრო სრულ, ხანგრძლივ და მკაფიო რეკლამას, ვიდრე სხვა ტიპის სერვისები. ეკოტურიზმისთვის საჭიროა ხშირი რეკლამები, რომელთა პოპულარიზაცია უნდა მოხდეს საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, როგორიცაა:

რეკლამა პრესაში (გაზეთი, გზამკვლევი, ცნობარი, ჟურნალები) შეიცავს ინფორმაციულ, კომერციულ და კომბინირებულ ინფორმაციულ-კომერციულ რეკლამას.

რეკლამა ტელევიზიით - (სარეკლამო-საინფორმაციო ვიდეოფილმები, კლიპები და სხვა) რეკლამის ერთ-ერთი ძვირადღირებული, პრესტიჟული და ყველაზე მასობრივი სახეა. სატელევიზიო რეკლამის ათვისების უნარი ძალიან

---

[10] კუპრაშვილი ნათია, ,,მედიის როლი შიდა და გარე ტურიზმის განვითარებაში რეგიონული ტელეკომპანიების ბაზაზე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მაგალითზე'', II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი'', შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭა- 170 რის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', 4-5 ივნისი, ბათუმი; 2011; გვ. 84

მაღალია. მისი გავრცელების დიაპაზონი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პოტენციურ მომხმარებლებამდე მის წარმატებით მიტანას.[11]

რეკლამა რადიოში - ტურფირმების დიდი რაოდენობა იყენებს რადიორეკლამას, როგორც გაზეთის და სხვადასხვა სარეკლამო საშუალებების მეორეხარისხოვან დამატებას. რეკლამა რადიოში უფრო ,,გაქმქროლადია", ვიდრე პრესაში და მოითხოვს გამეორების მნიშვნელოვნად ბევრ რაოდენობას; ამავე მიზეზის გამო ძალიან მნიშვნელოვანია სარეკლამო შეტყობინებების უბრალოება.[12]

განათებულ ნიშნებს, ელექტრონულ ტაბლოებს, მორბენალ სტრიქონებს იყენებენ ღამის საათებში ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე, ასევე სანახაობრივი ღონისძიებების დროს რეკლამირებისათვის. საფირმო გამოფენები, ოფისის ინტერიერის მისაღები და დამხმარე სათავსოების, პერსონალის, სპეცტანისამოსის გაფორმება - ფირმის სტილის მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ქმნის მათ იმიჯს საქმიანი პარტნიორებისა და მომხმარებლებისათვის. სიტყვიერი რეკლამა ხორციელდება პირადი ურთიერთობის ან ტელეფონის მეშვეობით.

ტურიზმის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, ეკოტურიზმს გააჩნია რიგი თავისებურებანი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ეკოტურისტული მომსახურების რეკლამირებისას. სარეკლამო განცხადების შედგენისას აუცილებელია მიზნობრივ აუდიტორიაზე ორიენტირება. ჩვეულებრივ გამოყოფენ ეკოტურისტთა შემდეგ ჯგუფებს:

1. სტანდარტული ტურისტი ,,მოგზაურები" - სწორედ ისინი წარმოადგენენ ეკოტურების ძირითად მომხმარებლებს. ამ ჯგუფს იზიდავს ახალი შეგრძნებები. ისინი ეკოტურიზმს განიხილავენ, როგორც მოგზაურობას. სტანდარტული ტურისტები ჩვეულებრივ არიან ტურისტული მომსახურების სხვა სახეობების აქტიური მომხმარებლებიც;

2. ,,გატაცებული" ტურისტები - ამ ჯგუფში შედიან ტურისტები, რომლებიც მიემგზავრებიან ეკოტურში სწორედ იმიტომ, რომ მიიღონ ახალი ცოდნა და გაეცნონ რეგიონის კულტურას, ჩვეულებებსა და ბუნებას;

3. სპეციალისტები - ეკოტურში მათი მონაწილეობის მთავარი მიზანია განსაზღვრული კვლევისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება. ჩვეულებრივ მათ მიერ არჩეული ტურები სპეციალიზირებულია: სამეცნიერო, ეთნოგრაფიული, სპელეოლოგიური და ა.შ;

4. ,,შემთხვევითი" ტურისტები - ამ ჯგუფში შედიან ადამიანები, რომლებიც შეუგნებლად ირჩევენ ეკოტურებს, რაიმე განსაკუთრებული მიზნის გარეშე, უფრო ხშირად ისინი არ ფლობენ რაიმე ცოდნას ტურიზმის მოცემული სახეობის შესახებ.

ეკოლოგიური ტურიზმის ცალკეული სახეობების რეკლამირებას ახასიათებს შემდეგი თავისებურებები:

---

[11] შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ,,ტურიზმის მარკეტინგი", გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი; 2009; გვ.218

[12] შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ,,ტურიზმის მარკეტინგი", გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი; გვ. 218

1. სამეცნიერო ეკოტურიზმი გულისხმობს განსაზღვრული მონაცემების შეკრებას იმ ადგილის შესახებ, სადაც ხდება ექსკურსია/მოგზაურობა. აქედან გამომდინარე, სარეკლამო განცხადების შედგენისას კარგად უნდა ვიცნობდეთ მიზნობრივ აუდიტორიას, მის მოთხოვნებსა და ინტერესებს. განცხადება უნდა შეიცავდეს მცირე ემოციურ ელფერს და თუ აუცილებელია, სპეციალურ ტერმინებს შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებიდან. მთავარი აქცენტი უკეთესია გაკეთდეს მოგზაურობის შემეცნებით ასპექტზე და ინფორმაციის კომფორტულ შეგროვებაზე. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დამატებით უზრუნველვყოთ მონაწილეები ინფორმაციის მიღებისა და შენახვის საშუალებებით;

2. შემეცნებითი ეკოტურიზმი შედარებით მთლიანად შეესაბამება ეკოლოგიური ტურიზმის კონცეფციას. მისი რეკლამირებისას მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ემოციური მიდგომა, სარეკლამო განცხადებაში ყურადღება დავუთმოთ ახალ ცოდნასა და შთაბეჭდილებებს, რომლებიც შეიძლება მიიღოს მონაწილემ. რეკლამის სტილი - პუბლიცისტურია, გამოიყენება მოზიდვის გრაფიკული ელემენტები;

3.რეკრეაციული ეკოტურიზმი თავის თავში გულისხმობს დასვენებას ბუნებაში გარემოზე ახალი ცოდნის მიღებით. ჩვეულებრივ გამოყოფენ აქტიურ და პასიურ ეკოტურიზმს. აქტიურის (სხვადასხვა ლაშქრობები, სიმაღლეზე ასვლა და ა.შ.) დროს სარეკლამო განცხადების ადრესატი ჩვეულებრივად არის აუდიტორია, რომელიც უპირატესობას აძლევს ფიზიკურ დატვირთვას, პასიურის (პიკნიკები ბუნებაში, კარვების ბანაკში დასვენება და ა.შ) დროს დამსვენებლები უფრო ხშირად არიან წყვილები ან ოჯახები.

მარკეტინგული პრობლემები წარმოადგენენ სერიოზულ ფაქტორებს, რომლებიც აფერხებენ საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას. დღემდე მსოფლიო საზოგადოება არ ფლობს ადეკვატურ ინფორმაციას საქართველოს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელის, მათი მნიშვნელობის და მონახულების შესაძლებლობის შესახებ.

რეკლამის ძირითად სოციალურ ბუნებას წარმოადგენს ადამიანის მიერ გარემოს აღქმადობა, რომელზეც გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები. გარე ფაქტორებია ის, რაც ადამიანის ირგვლივ მოცემულ მომენტში ხდება, ხოლო შიდა ფაქტორებია - ყველაფერი ის, რაც ხდება ადამიანის შიგნით იმავე მოცემულ მომენტში. რეკლამა ახდენს ემოციურ ზემოქმედებას და ადამიანის მიერ აღიქმება, შედეგად მას უჩნდება საპასუხო რეაქცია სქემით: ,,აღქმა - ზემოქმედება - რეაქცია". უმეტესად ადამიანების ფსიქოლოგია ისეთია, რომ ისინი აღიქვამენ ინფორმაციას შეგნებულად ან შეუგნებლად.

3.3 ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების სპეციფიკური მახასიათებლები საქართველოში

საქართველოს გააჩნია კოლოსალური პოტენციალი ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის რადგან, მას მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონები, ესთეტიკურად მიმზიდველი ლანდშაფტები, ურბანიზაციისა და გაკულტურების პროცესებისაგან ხელუხლებელი უნიკალური ფლორა და ფაუნა, ქართულ და საერთაშორისო წითელ წიგნში შეყვანილი არცთუ ისე ცოტა რაოდენობის რელიქტური და ენდემური სახეობები, ბუნებრივი ტერიტორიების დაცული და განვითარებული ქსელები გააჩნია. ეკოტურისტებისთვის ქვეყნის განსაკუთრებულ მიმზიდველობას ქმნის ეთნოკულტურის სიმდიდრე, სახალხო დღესასწაულების მრავალფეროვნება, ადათ-წესები, ხელობები, მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და თავისებური ქართული სამზარეულო.

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რმელთაც ტურიზმის განვითარების მრავალფეროვანი პირობა აქვს. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში არსებული პოტენციალის გამო, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს კომპლექსური ინდუსტრია დარგის მდგრადი ეკონომიკური ზრდის იდეალური საფუძველია.[13]

ტურისტები, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს სტუმრობენ, ხშირად მზად უნდა იყვნენ კომფორტთან დაკავშირებული ჩვეული სტანდარტების დასავიწყებლად. გარკვეული თვალსაზრისით ეს ეკოტურიზმის მიმზიდველ მხარედაც შეიძლება ჩაითვალოს. ტურისტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ადგილის სპეციფიკის შესახებ, რომელსაც სტუმრობენ და იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რათა მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე ზეგავლენა. ეს არის ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი პასუხისმგებლობა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია: განვითარების მდგრადობა, ეკონომიკური სარგებლიანობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ადგილობრივი კულტურის ინტეგრაცია და საგანმანათლებლო კომპონენტი. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში ეკოტურიზმის პოპულარობამ დიდად შეუწყო ხელი აგროტურიზმის განვითარებას. აგროტურიზმი ტურიზმის ის სექტორია, რომელიც ორიენტირებულია ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა სასოფლო რესურსებისა და მათი სპეციფიკის გამოყენებაზე კომპლექსური ტურისტული

[13] ცეცხლაძე ც., გოგელია მ., ,,აგროტურიზმი - სოფლის სოციალური პრობლემის დაძლევის მნიშვნელოვანი მახასიათებელი“, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ,,სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა ,,თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი; გვ.525

პროდუქციის შესაქმნელად. აგროტურიზმის მთავარი პირობა ისაა, რომ ტურისტების განთავსების საშუალებები მდებარეობდეს სოფლის დასახლებაში.[14]

საქართველოს ეკო და აგროტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია: სტუმართმოყვარეობის მდიდარი ტრადიციები, საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ადრეული და შუა საუკუნეების ისტორიული ძეგლები, ლამაზი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა რეგიონს განუმეორებელი თავისებურებანი ახასიათებს, რეგიონების მოსახლეობა ვერ იყენებს არსებულ პოტენციალს ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებას რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, რამდენადაც მისი შესაბამისი სექტორი ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული.

საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში განაპირობებს ეკოლოგიური ტურიზმის, როგორც მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის, პრიორიტეტული მიმართულების განვითარების აუცილებლობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად შევინარჩუნოთ: ბუნებრივი ფასეულობები, განვავითაროთ ინფრასტრუქტურა და შევავსოთ სახელმწიფო ბიუჯეტი.

ეკოლოგიურ ტურიზმს შეუძლია განსაკუთრებულად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე განავითაროს თავისი ყველა სახეობა, მაგრამ ნაკრძალების რეჟიმი განსაკუთრებულად მკაცრია სხვა სახის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებთან შედარებით და ეკოტურიზმს უყენებს გარკვეულ შეზღუდვებს.

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია - ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა - 1912 წელს. ამჟამად კი დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 627104.7255 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 9 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75 % ტყით არის დაფარული. საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 20 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი, 2 დაცული ლადშაფტია [15].

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, ეს ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც მოქმედებს რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მას ასევე შეუძლია გააქტიუროს ბუნების დაცვა ქვეყანაში. ჩვენი აზრით მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს შეუძლია არამხოლოდ გააძლიეროს ეკოლოგიური ტურიზმი ქვეყანაში, არამედ სტიმული მისცეს

---

[14] გოგელია მ., ცეცხლაძე ც., ,,ტურიზმის გავლენა ბუნებაზე", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა", მაისი-ივნისი, თბილისი;

[15] საქართველოს დაცული ტერიტორიები 2019

ტურისტების შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, ამ მიზნებისთვის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს აქვთ უნიკალური ორგანიზებული ტერიტორია, ჰყავთ კომპეტენტური სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, დაცვისა და ეკოლოგიური სისტემების აღდგენის გამოცდილება, მჭიდრო კონტაქტები ეროვნულ ფუნდამენტურ მეცნიერებასთან, საზღვარგარეთ თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, აქვთ დაცვითი სტრუქტურები.

ეკოტურიზმის სფეროს მონაწილეებმა უნდა განავითარონ ისეთი მომსახურება და შეთავაზებები, რაც შესაბამისობაში მოვა ტურისტული ბაზრის მოთხოვნებთან, რაც თავის მხრივ გახდება ტურისტთა მოზიდვის გარანტი. აქ განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს თავისი მხარდამჭერი პოლიტიკით, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის მოწყობას, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამასა და ინვესტორების მოძიებას. ამ მიმართულებით სახელმწიფოს საბოლოო მიზანს წარმოადგენს ფინანსურად მომგებიანი ეკოტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბება ბუნებრივი გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პირობებში. საჭიროა ტურიზმის ექსპერტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების განვითარების დაგეგმარებაში. მნიშვნელოვანია ტურიზმის სპეციალისტთა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ერთობლივი მუშაობა ტურების დაგეგმვისა და ადმინისტრირების სფეროში, განსაკუთრებით ეროვნულ პარკებში შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და შექმნის საკითხში (მნიშვნელოვანია მოგზაურობის დროს თუ როგორ უნდა დაიგეგმოს ეკოტური, ტურისტთა უსაფრთხოების დაცვა, ტურისტული მომსახურების მენეჯმენტი და ა.შ).[16]

საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზანს წარმოადგენს იმ ცალკეული რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეების ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ალტერნატივას წარმოადგენს.

[16] ცაავა შორენა, ,,ეკოტურიზმის განვითარება და მისი პერსპექტივები საქართველოში“, III საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 2-3 ივნისი, ბათუმი; გვ.204

თავი IV. ტურიზმის ინვესტირება

ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში ინვესტიციური რეგიონალური პოლიტიკა წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის მიწოდების რეგულირების ერთ-ერთ გზას. სახელმწიფო რეგულირების სისტემის განვითარება ტურიზმის ინდუსტრიაში რეგიონის დონეზე წარმოადგენს გაცილებით დაბალი დონის სისტემას ვიდრე მთლიანად ქვეყნის სისტემაა. ამერიკელი ექსპერტების შეფასების ადგილობრივ ხელისუფლებას უკვე აქვს საკმაო უფლება და შესაძლებლობა უცხოური ინვესტიციების დაცვისათვის. რეგიონალურ დონეზე ტურიზმის ინდუსტრიის მართვა ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ როგორც წესი ასეთი ქვედანაყოფების გადასაჭრელ საკითხს წარმოადგენს:

- რეგიონალური პროგრამების დამუშავება რომელშიც ჩართული იქნება ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტიციების მოზიდვის პროგრამირება და საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაცია ამ სფეროში.
- ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია რეგიონში ტურიზმის განვითარების და ტურისტული საქმიანობის ორგანიაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით და ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელშეწყობისათვის
- რეგიონის ტურისტული მომსახურების ბაზარზე ტურისტული პროდუქტის წინწაწევა.
- რეგიონებში იგრძნობა საშუალო კლასის სასტუმროების უკმარისობა პრიმიტიულად მოწყობილი იაფი სასტუმროები სთავაზობენ მხოლოდ მომსახურების მცირე ნარებს მომსახურების ხარისხი კი არ პასუხობს მსოფლიო სტანდარტებს. ასეთი სასტუმროები მოითხოვე სწრაფ რეკონსტრუქციას. უკიდურესად დაძაბულ რეჟიმში ფუნქციონირებს საგზაო ქელი არ არის დამაკმაყოფილებელი გზის საფარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ქრონიკული უკმარისობა რეგიონების საინვესტიციო მხარდაჭერისათვის სათანადო ყურადღების უქონლობა რეგიონების საჭიროებებზე, შეთანხმებული საინვესტიციო პროგრამების შეუსრულებლობა აიძულებს რეგიონებს ეძებონ ინვესტიციების მოზიდვის საკუთარი გზები.

ზოგიერთ რეგიონში პრაქტიკულად შემოიღეს საკუთარი საკანონმდებლო ნორმატიულ-სამართლებრივო საფუძვლები, რომლებიც მიმართულია მოცემულ

რეგიონში ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებისსაკენ. გავრცელდა ისეთი ღისძიებები, როგორიცაა განსაზღვრულ პირობებში ადგილობრივ ბიუჯეტში მოგების და ქონების გადასახადებიდან განთავისუფლება, გადასახადების და სარენტო გადასახდელების გადახდის გადავადება, უპროცენტო კრედიტის მიცემა და ა.შ. მაგალითად ტურისტებისათვის მიმზიდველია ისტორიული ძეგლებით მდიდარი მხარის მონახულება დასვენების შესაძლებლობებით. რეგიონის ადმინისტრაცია ღებულობს ზომებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს რეგიონში წარმოადგენს რეგიონალური მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ინვესტიციების დაბანდება.

4.1.ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმები ეკო ტურიზმში

ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმების განხილვისას უნდა ავღნიშნოთ რომ უკანასკნელ წლებში ერთ-ერთი ინსტიტუტი რომელიც დანერგილია ამ სფეროში არის თავისუფალი ეკონომიკური ონა. კურორტების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყანაში მიღებულ იქნა კანონები თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ. ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეები რომლებიც გადაწყვეტენ დააბანდონ სახსრები ქვეყნის კურორტების განვითარებაში შესაბამისი რეგისტრაციის გავლის და ტურისტულ-რეკრეაციული ტერიტორიების რეზიდენტის სტატუსის მიღების შემდეგ ისარგებლებენ ხელისუფლების მხარდაჭერით და საგადასახადო შეღავათებით. ინვესტორები გათავისუფლდებიან გადასახადების და მოსაკრებლების გადასახადებისაგან რეგიონალურ ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხის ოდენობით. შემცირდება აგრეთვე მოგებიდან გადასახადის თანხა ბიუჯეტში გადასახდელად. აღნშნული შეღავათები არ ვრცელდება იმ ფირმებზე რომელთა დამფუძნებლების შემადგენლობაში არიან ქვეყნის ტერიტორიაზე შემნლი ორგანიზაციები ანდა ქვეყნის მცხოვრები ფიზიკური პირები.

კანონში ზუსტად არის განსაზღვრული რეგიონში ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ინვესტორების საქმიანობის შეზღუდვების შესახბ თუმცა მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები არ არის საკმაოდ გათვალისწინებული. ჩემი აზრით აუცილებლად უნდა დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები ინვესტორებისათვის:

- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მნიმალური დონით
- მონაწილეობით პერსონალის სწავლებაში
- შიდა კომპონენტების გამოყენების საპროცენტო მინიმუმის დადგენით
-

ასევე საჭიროა პერიოდულად ჩატარდეს ინვესტორების საქმიანობის შემოწმებაც. ეს შეზღუდვები ხელს არ შეუშლის იმ ინვესტორების საქმიანობას რომელთა მიზანიც რეგიონში ტურიზმის განვითარებაა, ამასთან ერთად იქმნება

ბარიერი იმ ფირმებისათვის რომლებიც თავისუფალი ეკონომიკური ზონით სარგებლობენ მხოლოდ გადასახადების თავის არიდებისათვის.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ მნშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის გამჭირვალობის ამაღლება. პოტენციური ინვესტორი ინვესტიციური ობიექტის არჩევისას ხარჯავს დიდ ენერგიას საიმედო ინფორმაციის მოძიებისათვის. ინფორმაციული ბაზის შექმნა საშუალებას მისცემს ტურისტული სფეროს საწარმოებს დაიყვანონ ინფორმაცია შემოათავაზებული საინვესტიციო პროექტის შესახებ დიდი რაოდენობის პოტენციურ ინვესტორებამდე. წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობის გარანტი უნდა იყოს ტურისტული რეკრეაციული კომპლექსის ადმინისტრაცია რომელიც ატარებს აქტიურ საქმიანობას ინვესტიციური პროექტების შეკრების და ანალიზის შესახებ.

ეკოლოგიური ტურიზმის სფეროში ინვესტიციური აქტივობის განვითარებისათვის ქვეყანაში აუცილებელია გადაიჭრას რეალური დაფინანსების საკითხები. საფინანსო ინტიტუტებიდან ფულადი რესურსების მობილიზაციისა და სამეწარმეო საქმიანობაში დაბანდებას ახორციელებენ: კომერციული ბანკები, საფინანსო და სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ბირჟა, საინვესტიციო კომპანიები და სხვა.

ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია მხოლოდ მაშინ ითვლება ეფექტურად, როცა სრულდება დასახული მიზანი და მყარდება ბალანსი ინვესტორების ინტერესებისა და ბუნებათდაცვის სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს შორის. საკმარისი არაა შეიქმნას მხოლოდ ხელსაყრელი პირობები ინვესტიციების მოსაზიდად; საჭიროა რომ ინფორმაციამ მიაღწიოს პოტენციურ ინვესტორებამდე და გამოიწვიოს მათი ინტერესი.

რეგიონის მიმზიდველობის შესახებ ინფორმაცია უნდა გარცელდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა, საერთაშორისო ასოციაციებისა და სააგენტოებს შორის, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი მედია-საშუალებები:

- ბროშურები, სტატისტიკური ბუკლეტები;
- ეკონომიკური ბაზრების მიმოხილვა;
- ეკონომიკური მიმოხილვა;
- მონაცემთა ბაზა;
- ინტერნეტი (Website უკუკავშირით).

პოტენციური ინვესტორების თვალში, რეგიონის ხელსაყრელი იმიჯის შექმნის ღოისძიებებმა უნდა მოიცვას რეგიონის შესახებ მნიშვნელოვანი კომერციული ცნობების გავრცელების შესახებ პრაქტიკულ საქმიანოათა კომპლექსი მისი რეკლამა და აუცილებელ დონეზე კონსულტირება.

ძირითადი ინსტრუმენტი აღნიშნული ბაზის შექმნისათვი ტურისტული ობიექტების და ტურისტული სფეროს ინვეტიციური პოტენციალის შესახებ შეიძლება გახდეს ინტერნეტ საიტი, რომელიც გახსნილია ტურისტული სფეროს საწარმოების ინფო-ცენტრის მიერ ტურისტულ-რეკრეაციული კომლექსის ინფო-

ცენტრის ინტერნეტ საიტის მეშვეობით. ინვესტორებს ძალიან ადვილად შეუძლიათ მონახონ ინფორმაცია საჭირო ორგანიზაციის შესახებ, გაიგონ მისი საქმიანობის პროფილის შესახებ, ხელმძღვანელობის შესახებ მიიღოს საკონტაქტო ინფორმაცი და უშუალოდ დაუკავშირდეს საჭირო პიროვნებას.

არ უნდა ვიფიქროთ ისე, რომ მხოლოდ და მხოლოდ ინტერნეტი წარმოადგენს ეკოლოგიური ტურიზმის ინვესტირების წყაროს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელისუფლების მიერ ჩატარებული პიარ კამპანიები ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების შესახებ.

კურორტებისა და დაცული ტერიტორიების განვითარების ინფორმაციული მხადაჭერისათვის აუცილებელია ჩატარდეს აქტიური მუშაობა მასობრივი საინფორმაციო საშუალების მეშვეობით, ჩაატაროს კურორტებზე სხვადასხვა სახის ფესტივალები, ჩაატაროს მაღალი დონის სპორტული შეჯიბრებები.

ტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია ქვეყანაში განისაზღვროს ძირითადი მიმართულებები ტურისტული პროდუქტის წინწავევისათვის როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. მას შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საინფორმაციო ველის შექმნა როგორც უნიკალური ტურისტული რესურსების მქონე ქვეყნის შესახებ და დადებითი ტურისტული იმიჯის ფორმირება;
- პირობების შექმნა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის მსხვილი ფორმების პარტნიორლი ურთიერთობის ზრდისათის საშუალო და მსხვილ ბიზნესთან ტურიზმის სფეროს საწარმოთა სტრატეგიული კავშირების შექმნით.
- სარეკლამო ინფორმაციული პროგრამების დამუშავება და ჩატარება შემომსვლელი და შიდა ტურიზმის შესახებ. მათ შორის სატელევიზიო პროგრამირების ციკკლის და ვიდეოფილმების გაკეთება საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებისათვის აგრეთვე რეგულარულად სარეკლამო-ინფორმაციული კამპანიის ჩატარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
- მეგზურების, კატალოგების, ბუკლეტების პლაკატების, რუკების და სხვა სარეკლამო-ინფორმაციული ბეჭდვითი პროდუქტის გამოცემა;
- რეგიონალურ და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღება; ქვეყნისათვის ერთიანი სტენდის შექმნა ტურიზმის სფეროს და მუნიციპალური საწარმოების ჩაბმით.
- ქვეყნის ტერიტორიაზე სარეკლამო-ინფორმაციული ცენტრების შემსრულებელი წარმოადგენლობების ქსელის ორგანიზაცია და მათი საქმიანობის უზრუნველყოფა რეგიონთა შორის თანამშრომლობა სახელშეკრულებო საფუძველზე ორგანიზაციულ-პატრიოტული საქმიანობის ჩარჩოებში.
- ქვეყნის ტურიზმის სფეროს აღმასრულებელი ხელმძღვანელი ორგანოების ინტერნეტ-პორტალის შექმნა.

- ტურიზმის სტატისტიკის მეთოდიკის ფორმირება სტატისტიკური ანგარიშგების დამტკიცება და ინფორმაციული ნაკადების ორგანიზაცია, არსებული ნორმატიული საერთაშორისო მოთხოვნების და ტურიზმის ქვეყნის ეკონომიკის განმსაზღვრელი წვლილის შესაბამისად.

ქვეყნის ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება ხელსაყრელია არა მარტო ეკონომიკურად არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის. ტურისტული ბიზნესი იწვევს მეორად მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე. მოსახლეობისათვის დამატებითი არსებობის წყაროს გაჩენით მოსახლეობის აბამს კვების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დამზადებაში, სახალხო რეწვის, სუვენირების და ნაკეთობების დამზადებით, საზოგადოებრივი კვების სფეროში დასვენების და გართობის სფეროში, რის შედეგადაც იქმნება დამატებითი ახალი სამუშაო ადგილები.

დარგის განვითარებში ძირითადი პრიორიტეტია თანამედროვე ტურისტული კომპლექსების მშენებლობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებაში პრიორიტეტულია ინვესტირება მომსახურების შემდეგ ობიექტებში:

- კემპინგები, კომპორტაბელური სასტუმროები, ალპინისტური ბანაკები;
- კვების საწარმოები, მომსახურების სფერო, ვაჭრობა;
- ამწეების და სამთოსათხილამურო ტრასის რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება;
- ტურისტული მარშრუტების მოწყობილობა, სათვალთვალო მოედნები შუალედური დასვენების ადგილი კვების პუნქტებს შორის, სუვენირების გაყიდვა და სხვა. ტურიტული მოწყობილობის საქონელი.
- ტურისტულ ზონაში სამაშველო და სამედიცინო სამსახურის ჩამოყალიბება;
- საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება.

ფუნქციონალური რეკრეაციული ზონების გამოყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზაზე რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას ქვეყანას შეუდგეს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. სანატორიულ-საკურორტო და ტურისტულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების მიმართულებით, აამაღლოს მათი კეთილმოწყობა.

დაცულ ტერიტორიებზე, რეკრეაციული ზონების გენერალური სქემის კომპლექსური დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას წინასწარ გაკეთებული წინადადებები კერძოდ:

- საექსკურსიო ობიექტების, ტურბაზების კემპინგების, სასტუმროების და თავშესაფრების ქსელის შექმნა;

- სამთო ავტოტრასის გასწრივ ტურისტული და კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის თანამედროვე მომსახურებათა ქსელის შექმნა;
- კულტურის ბიექტების და ნაგებობების ტურისტული მოწყობილობის და საექსკურსიო მარშრუტების დამუშავება;

თავი V. ეკოტურიზმის დინამიკის პროგნოზირება

ეკოტურიზმის განვითარების და შესაბამისად შემოსავლების პროგნოზირებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ტურიზმის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა. კვლევა კრებსითია და მასში ცალკე გამოყოფილი ცხადი სახით ეკოტურიზმი არ არის. ამდენად ჩვენ გადავწყვიტეთ ამ კვლევის მონაცემებიდან გამოგვეყენებინა ის მონაცემები, რომელიც შინაარსობრივად შესაბამისობაში ეკოტურიზმთან.

ამდენად, როდესაც გვინდოდა გამოკვეკვლია ტურისტების რაოდენობა და შემოსავლები „ვიზიტის მთავარი მიზნებიდან“ ჩვენ გამოვყავით „დასვენება, გართობა, რეკრეაცია“ და „ჯანმრთელობა, გაჯანსაღება“ და გავაერთიანეთ ეს მონაცემები. შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები:

№	რაოდენობა	% წილი მთლიანი რაოდენობიდან
1	301,553	31.50%
2	396,668	33.50%
3	820,495	43.40%
4	353,411	28.90%
5	323,131	32.60%

6	496,201	39.40%
7	843,585	43.90%
8	368,666	30.10%
9	348,775	31.60%
10	583,643	39.6%
11	1,211,098	49.9%
12	479,047	32.3%
13	503,395	38.2%
14	787,044	46.9%
15	1,405,331	53.0%
16	576,293	37.0%
17	520,191	39.0%
18	911,456	48.0%

შენიშვნა: №1 აღნიშნავს 2015 წლის პირველ კვარტალს, ხოლო №18 – 2019 წლის მეორე კვარტალს.

გრაფიკულად ეს მონაცემები წარმოდგება შემდეგი სახით:



შენიშვნა: ლურჯი გრაფიკი არის რაოდენობის ცვლილების გრაფიკი, ხოლო ყვითელი გრაფიკი, რომლისთვისაც ვერტიკალური ღერძი არის მოცემული მარჯვნივ, არის პროცენტული წილის ცვლილების გრაფიკი.

როგორც ვხედავთ, და ეს არც არის გასაკვირი, მონაცემებს ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა და, ამავე დროს, გამოკვეთილია აღმავალი ტრენდი.

აქედან გამომდინარე, მომავალი რაოდენობების პროგნოზირებისათვის ყველაზე კარგი იქნება გამოვიყენოთ მულტიპლიკატიური დეკომპოზიციის მეთოდი. ამ მეთოდის რეალიზაცია შესაძლებელია QM for Windows პროგრამის საშუალებით, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ სტატისტიკური ანალიზის კურსში.

პროგრამის გამოყენების შედეგად მიიღება შემდეგი სახის პროგნოზი შემდეგი 14 კვარტლისათვის (ანუ 2022 წლის ბოლომდე):

QM for Windows - [Data] Results

Measure	Value	Future Period	Unadjusted Forecast	Seasonal Factor	Adjusted Forecast
Error Measures		19	919148.1	1.725	1585860.0
Bias (Mean Error)	-471.243	20	948561.9	.696	659909.4
MAD (Mean Absolute Deviation)	36296.04	21	977975.9	.633	618774.6
MSE (Mean Squared Error)	2187101000	22	1007390.0	.956	962604.8
Standard Error (denom=n-2-4=12)	57276.97	23	1036804.0	1.725	1788859.0
MAPE (Mean Absolute Percent Error)	6.438%	24	1066218.0	.696	741761.9
Regression line (unadjusted forecast)		25	1095632.0	.633	693216.4
Demand(y) = 360283.7		26	1125046.0	.956	1075030.0
+ 29413.91 * time		27	1154459.0	1.725	1991857.0
Statistics		28	1183873.0	.696	823614.3
Correlation coefficient	.988	29	1213287.0	.633	767658.4
Coefficient of determination (r^2)	.977	30	1242701.0	.956	1187455.0
		31	1272115	1.725	2194855
		32	1301529	.696	905466.8

მთავარი რაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება არის ის, რომ დასაშვები პროცენტული ცდომილება MAPE არის სულ 6.438%, რაც უნდა ჩაითვალოს კარგ სიზუსტედ. გრაფიკული ანალიზიც ადასტურებს ამას:



მთლიანად ტურიზმისაგან მიღებული შემოსავლების პროგნოზირებისათვის გამოვიყენებთ შემდეგ ცხრილს:

№	დანახარჯები/ შემოსავალი
1	720,970,159
2	870,230,526
3	1,534,896,165
4	932,111,357
5	771,930,545
6	908,523,953
7	1,805,346,210
8	893,870,252
9	762,411,341
10	1,460,186,584
11	2,288,943,536
12	1,250,049,512
13	1,398,574,278
14	1,920,276,018

15	3,124,018,747
16	1,474,635,085
17	1,186,370,310
18	2,392,083,962

შენიშვნა: №1 აღნიშნავს 2015 წლის პირველ კვარტალს, ხოლო №18 – 2019 წლის მეორე კვარტალს.

გრაფიკულად ეს მონაცემები გვიჩვენებს შემდეგ სურათს:



როგორც ვხედავთ, ამ მონაცემებსაც ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა და, ამავე დროს, გამოკვეთილია აღმავალი ტრენდი. აქედან გამომდინარე, მომავალი რაოდენობების პროგნოზირებისათვის ყველაზე კარგი იქნება გამოვიყენოთ მულტიპლიკატიური დეკომპოზიციის მეთოდი. ამ მეთოდის რეალიზაცია შესაძლებელია QM for Windows პროგრამის საშუალებით, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ სტატისტიკური ანალიზის კურსში.

პროგრამის გამოყენების შედეგად მიიღება შემდეგი სახის პროგნოზი შემდეგი 14 კვარტლისათვის (ანუ 2022 წლის ბოლომდე):

Measure	Value	Future Period	Unadjusted Forecast	Seasonal Factor	Adjusted Forecast
Error Measures		19	2208870000	1.565	3456752000
Bias (Mean Error)	1072381.0	20	2287897000	.792	1813118000
MAD (Mean Absolute Deviation)	149653100	21	2366923000	.694	1641474000
MSE (Mean Squared Error)	29871450000 000000	22	2445950000	.952	2328813000
Standard Error (denom=n-2-4=12)	211677100	23	2524976000	1.565	3951439000
MAPE (Mean Absolute Percent Error)	11.868%	24	2604003000	.792	2063626000
Regression line (unadjusted forecast)		25	2683029000	.694	1860695000
Demand(y) = 707367000		26	2762056000	.952	2629780000
+ 79026490 * time		27	2841082000	1.565	4446127000
Statistics		28	2920109000	.792	2314135000
Correlation coefficient	0	29	2999135000	.694	2079916000
Coefficient of determination (r^2)	0	30	3078162000	.952	2930748000
		31	3157188000	1.565	4940813000
		32	3236215000	.792	2564643000

მთავარი რაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება არის ის, რომ დასაშვები პროცენტული ცდომილება MAPE არის სულ 11.868%, რაც უნდა ჩაითვალოს არც თუ ისე ცუდ სიზუსტედ. გრაფიკული ანალიზიც ადასტურებს ამას:


Demand(y)
(untitled)
3,000,000,000
2,500,000,000
2,000,000,000
1,500,000,000
1,000,000,000
500,000,000
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19
time
Data
Forecasts
Smoothed data
Trend line

დასკვნა

დღესდღეობით საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმი წინ მიიწევს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. განხორციელებულმა კვლევებმა დაამტკიცა, საქართველოში, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირების აუცილებლობა.

ტურიზმს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, მოსახლეობას მოუტანს დამატებით სავალუტო შემოსავლებს, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და ხელს შეუწყობს ქართული ტრადიციებისა და ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაციას.

ეკოლოგიური ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის აღიარება მსოფლიოს ბევრ ქვეყანასა და რეგიონში მისი განვითარების მიზეზი გახდა. ეკოტურიზმი სულ უფრო და უფრო ხდება ადამიანის დასვენების მასობრივი ფორმა და მისი ცხოვრების ხარისხის სრულყოფის აუცილებელი საშუალება.

საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის, რაც განპირობებულია მრავალფეროვანი, უნიკალური და ბუნებრივი ლანდშაფტებით, რომელებსაც ურბანიზაციისა და კულტურიზაციის პროცესი არ შეხებია, თუმცა საქართველოს ეკოლოგიური ტურიზმის რესურსები დღემდე ფრაგმენტულად ვითარდება. კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები და შევიმუშაოთ შემდეგი სახის წინადადებები ქვეყანაში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით:

1. გადაჭრილ უნდა იქნეს ისეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, როგორიცაა: სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიური ფაქტორების გავლენის გაცნობიერება, შემოსვლითი ტურიზმის სტიმულირება, განთავსებისა და სატრანსპორტო საშუალებათა მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფა, ტურისტული რესურსების გამოყენების ოპტიმალურობა.
2. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების საგრძნობმა ზრდამ არ უნდა გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველობის მიერ ყურადღების მოდუნება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, ვინაიდან ამან მომავალში შესაძლებელია გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზარალი გამოიწვიოს.
3. ტურისტული დანახარჯებიდან ბიუჯეტში შესული თანხები უნდა მოხმარდეს არა მხოლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, არამედ ეკოლოგიური ბალანსის აღდგენასაც.

4. ეკოტურიზმის წარმატებული განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენებისათვის მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და რეგულირებული ტურისტული ნაკადების მოცულობა დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში, უნდა მოხდეს ტერიტორიის ზონირება, მარშრუტი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და კონტროლის პრინციპებიდან გამომდინარე, ხოლო განთავსების ადგილების მშენებლობა უნდა განხორციელდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების შენარჩუნებაზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ უნდა იყოს მიმართული;
5. საქართველოში ფართოდ გავრცელებული თვითშემოქმედებითი ეკოლოგიური ტურები შესაბამისი დაგეგმვისა და სტანდარტული მიდგომის გარეშე, შეიძლება გარემოსათვის ზიანის მომტანი იყოს. დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ეკოტურების ჩატარებისას აუცილებელია მკაცრი კონტროლი. ბუნებრივი ტერიტორიების მონახულებისას აუცილებელ პირობად გვევლინება მყარი ტურისტული საქმიანობა, ქცევის გარკვეული წესებისა და რეკრეაციული ტევადობის ნორმატივების დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ ეკოსისტემის განადგურება;
6. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მექანიზმის შემუშავებისა და რეალიზაციის დროს მნიშვნელოვანია მხედველობაში მიღებულ იქნას ეკოტურიზმის დადებითი და უარყოფითი შედეგები;
7. ეკოტურიზმის განვითარება საჭიროებს მთელი რიგი ამოცანების გადაჭრას, რომელთა შორისაცაა საკანონმდებლო რეგულირება, პროგრამულ-მიზნობრივი განვითარება, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შექმნა, სახელმწიფოს როლის განსაზღვრა, დარგის განვითარების ფაქტორებზე მუდმივი მონიტორინგი, ეფექტიანი სახელმწიფო ღონისძიებათა დაგეგმვა, დაფინანსება და რეალიზაცია, რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
8. მაღალხარისხიანი ეკოლოგიური ტურების არსებობა ეკოტურისტულ ბაზარზე საერთაშორისო კონკურენციაში გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, ხარისხიანი ეკოლოგიური ტურის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი მრავალფეროვანი ინფორმაციაა, რომელიც მიეწოდება ტურისტს სხვადასხვა ფორმით ეკოტურისტული მოგზაურობის გამარტივების მიზნით. მაღალი ხარისხის ეკოტური გულისხმობს პროფესიონალური კადრების არსებობას.
9. დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები;
10. ეკოტურიზმის განვითარება არ საჭიროებს დაცულ ტერიტორიებზე ახალი სასტუმროების მშენებლობას. ეკოტურისტების განთავსება უნდა მოხდეს

არა დაცულ ტერიტორიაზე, არამედ ირგვლივ არსებულ დასახლებულ პუნქტებში; ყველა ეს ღონისძიება შესაძლებელს გახდის მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა;

11. ეკოტურიზმის პოპულარიზაციისათვის აუცილებელია ისეთი აქციების ჩატარება, როგორიცაა „ეკოლოგიური ტურიზმის დღე“, „ტურიზმი და ეკოლოგია“, „ ეკოლოგიური მუსიკის ფესტივალი“ და ა.შ.

12. ტურისტული ფირმებისათვის ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული გაუთვითცნობიერებელი ეკოტურისტული საქმიანობა, სპეციალიზირებული ტუროპერატორების არყოლა და ლიცენზიის ჩამორთმევის პირობები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იცავენ შემოთავაზებულ წესებს;

ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვანი პროცესი იქნება, რომელსაც შეეძლება შესამჩნევი გავლენა იქონიოს ქვეყნის პერიფერიული რეგიონების ეკონომიკაზე, შეეძლება ქვეყანაში შემომსვლელთა ნაკადის სტიმულირება და გააქტიურებს უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების დასაცავად მიმართულ საქმიანობას. საქართველოში, გარდა ტრადიციული, კულტურულ ობიექტებზე ორიენტირებული ტურიზმისა, პრიორიტეტულად უნდა განვითარდეს ეკოლოგიური ტურიზმი, ვინაიდან იგი არ საჭიროებს მაღალი დონის, განვითარებულ ინფრასტრუქტურას და დიდ ინვესტიციებს.

მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დღესდღეობით შესაძლებლობას არ იძლევა დაცული ტერიტორიების სტატუსი მიენიჭოს ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც ამას იმსახურებს და საჭიროებს, ჩვენს ქვეყანაში უფრო პერსპექტიული იქნება, ე.წ. ფართო ანუ „გერმანული“ ან „ დასავლეთევროპული“ მოდელის გამოყენება, რომელიც გულისხმობს აგრეთვე ეკოტურიზმის განვითარებას განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების გარეთ, კულტურული ან გაკულტურებული ლანდშაფტის სივრცეში – უმეტესად სასოფლო არეალებში, რომლის თანახმადაც ეკოლოგიური ტურების ჩატარება შესაძლებელია არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

ბიბლიოგრაფია

1. ბარათაშვილი ე., რამიშვილი ვ., ბაიდოშვილი დ., ,,საინვესტიციო მენეჯმენტი საქართველოს სამთო ტურიზმის განვითარებაში‘‘, მონოგრაფია, გამომცემლობა შპს ,,თეკა & კომპანია‘‘, თბილისი; 2011
2. ბერიძე რ., ბერიძე ზ., ,,ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგია‘‘, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში. სესპსკი, ბათუმი-თბილისი; 2011
3. ბერიძე რ., გოგელია მ., ,,დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების პრობლემები‘‘, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი‘‘, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2-3 ივნისი, ბათუმი; 2012
4. ბირჟაკოვი მ., ,,ტურიზმის თეორია‘‘, გამომცემლობა ,,შპს ფოტონი,, თბილისი; 2004
5. გოგელია მ., ,,თანამედროვე ტენდენციები ეკოტურიზმში‘‘, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა‘‘,სექტემბერ-ოქტომბერი, თბილისი; 2012
6. გოგელია მ., ,,ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები‘‘, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები ,,ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები, ქუთაისი; 2010
7. გოგელია მ., ცეცხლაძე ც., ,,ტურიზმის გავლენა ბუნებაზე‘‘, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა‘‘, მაისი-ივნისი, თბილისი; 2012
8. გოგელია მ., „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება“; სადისერტაციო ნაშრომი; ბათუმი; 2013
9. გოგელია მ., კორძაია ირაკლი, VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი‘‘, შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 10-11 ივლისი, ბათუმი; 2017

10. კობალაძე ლ., საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება. 2010
11. კუპრაშვილი ნ., ,,მედიის როლი შიდა და გარე ტურიზმის განვითარებაში რეგიონული ტელეკომპანიების ბაზაზე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მაგალითზე", II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, გამომცემლობა ,,უნივერსალი", 4-5 ივნისი, ბათუმი; 2011
12. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), გამომცემლობა შპს ,,ფორმა", თბილისი; 2008
13. მეტრეველი მ., ,,გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი:, გამომცემლობა ,,ფავორიტი პრინტი", თბილისი; 2012
14. მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ჟანი, ,,ტურიზმი მდგრადი განვითარების ტენდენციები, პრობლემები და პერსპექტივები", III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2-3 ივნისი, ბათუმი; 2012
15. მიქაშავიძე ვ., „დაცული ბუნებრივი ტერიტორიების განვითარება-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ეკოტურიზმის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი" VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 10-11 ივლისი, ბათუმი; 2017
16. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები (2018)
17. ყორღანაშვილი ლ., VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 10-11 ივლისი, ბათუმი;
18. ცაავა შ., ,,ეკოტურიზმის განვითარება და მისი პერსპექტივები საქართველოში", III საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, გამომცემლობა ,,უნივერსალი", 2-3 ივნისი, ბათუმი;
19. საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია; ევროპის ეკოტურიზმის მე-5 კონფერენცია საქართველოში (ინგლისური), 2018

20. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მომსახურების სტატისტიკა,
21. საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, GTA-ს შესახებ;
22. შავლიაშვილი, ი., დიდმანიძე, ე. - „ლაგოდეხის ნაკრძალი“.
23. მამისაშვილი, კირ. - „ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი“.
24. საქართველოს 1997: საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ 171 06/03/1997, კონსოლიდირებული ვერსია(საბოლოო)15/07/2018
25. UNWTO 2018: UNWTO Tourism Highlights 2018 edition; http://wtd.unwto.org/content/world-tourism-day-2018
26. http://www.parliament.ge/files/714_9879_231621_ekoturizmi.pdf
27. https://www.geostat.ge/index.php/ka/modules/categories/101/shida-turizmi
28. http://apa.gov.ge/ge/statistika